# საარბიელო

სპორტული გაზეთი — სამშაბათი 15 ივლისი 2003 №129 (1900) — ფასი 50 თეთრი


# საქართველო — ალბანეთი

## მალავის გადაწევა მუშტი-კრივამდე და ნადირობა კურდღლებზე

*ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ ყველაზე არასასურველი გუნდი შეგვხვდაო, თქვა გერმანული შეკრებიდან დაბრუნებული „დინამოს" მწვრთნელმა ივო შუშაკმა.*

„ტირანასთვის" „დინამო" ძლიერი მეტოქეაო, გვწერს ჩვენი ალბანელი კოლეგა და რომც არ მოეწერა, ცხადია ალბანელთათვის საქართველოს ჩემპიონი ხელწამოსაკრავი გუნდი არ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ხვალინდელი მატჩის წინ მეტოქეები ერთმანეთს უფრთხიან, ოღონდ ეს ის სიფრთხილე არ არის, ზოგი თადარიგიანი წაგების მერე თავის გასამართლებლად რომ იყენებს.

ვერც „დინამო" და ვერც „ტირანა" წაგების შემთხვევაში თავს ვერ გაიმართლებენ, რაკი ერთიც და მეორეც წარმატებული სეზონისწინა შეკრებით და გაძლიერებით ტრაბახობს. ჩვენი სურვილი კი, ცხადია, ის არის, რომ ალბანელთა ტრაბახი ტრაბახადვე დარჩეს, „დინამო" კი მომდევნო ეტაპზე გავიდეს.

ალილო და ხვალეო — ხვალ ქართული საზომით დიდი ფეხბურთია, ტირანელები კი თბილისში დღეს დილას გამოფრინდნენ.

საინტერესო რამ მოხდა: თურმე იმათ უფროსობას ფეხბურთელებისთვის დაუმალავს „ეროვნულზე" მაყურებლებს რომ არ შეუშვებენ და მხოლოდ გამომგზავრების წინ უთხრეს. ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირეს: მოთამაშეებს მოდუნების საშუალება არ მისცეს და თან ფსიქო-დოპინგითაც გაუმასპინძლდნენ.

ახლა „დინამოს" წილი კურდღლებიც დავითვალოთ. შუშაკი დარწმუნებულია, თუ ღირსეულად ვითამაშეთ, შემდეგ ეტაპზეც გავალთო და ეს გვაიმედებს — შუშაკის გუნდები, საკლუბოც და ეროვნულიც, ბოლო ხანს სწორედ რომ ღირსეულად თამაშობენ და თუ კონკრეტულ მოთამაშეებზე მიდგა საქმე, აქაც მატებაა — ოთხი ახალწვეულის, სანდრო იაშვილის, მამუკა წერეთლის, ლევან მელქაძისა და ტესერის დამატების გარდა დინამოელებმა ოთარ ხიზანეიშვილიც შეინარჩუნეს, მის მეპატრონეს, მოსკოვის „დინამოს" იჯარის ზამთრამდე გაგრძელებაზე გაურიგდნენ.

მოკლედ, გულშემატკივრის სუბიექტურობა იქით იყოს და, მაინც გვჯერა, რომ „დინამო" „ტირანას" დაჯაბნის.



ივო შუშაკი და „დინამოს" ახალწვეულები: მამუკა წერეთელი, სანდრო იაშვილი, ტესერი და ლევან მელქაძე

# კარგი ანბავი ამერიკიდან



ნიკა ცქიტიშვილი

ზაზა ფაჩულიამ თავისი დაამტკიცა. ორლანდოს საზაფხულო ლიგის ბოლო თამაშში ქართველმა მეტოქის კალათი აიკლო და ის შეხვედრა 22 ქულით, 13 მოხსნით, 2 პასით, 2 ჩაჭრით და 2 დაფარებით დაასრულა. ახლა ორლანდოელების სვლაა, თუ მოეწონათ ქართველი ცენტრი და, ფაქტია, რომ მოეწონათ, კონტრაქტსაც უნდა გამოვიდნენ. ესეც დღეების საქმეა. „მეჯიქის" მწვრთნელი დოკ რივერსი ამბობს, ამ დრაფტმა ძალიან გაგვიმართლაო. დოკი სამივე ახალწვეულით კმაყოფილია და მათ შორის ფაჩულიათიც, რომელიც ამერიკელთათვის მოულოდნელად დრაფტში, 42-ე ნომრად არჩეული ბიჭის კვალობაზე გვარიანად ნიჭიერი და მძლავრი აღმოჩნდა. დრაფტზე ძლივს შემჩნეული გოლიათი ქართველი ახლაღა აღმოაჩინეს ადგილობრივმა გაზეთებმაც, ფაჩულიაზე იწერება მცირე წერილები, მომცრო ინტერვიუები... რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, 19 წლის ქართველს დინება „ორლანდოსთან" კონტრაქტისკენ მიაქანებს.

ფაჩულია საზაფხულო ლიგას რომ ამთავრებდა, ნბა-ში მასზე წლით ადრე მისული მეორე ქართველი ნიკა ცქიტიშვილი იწყებდა. ნიკას „დენვერი" გუშინწინ ჩაერთო ლონგ ბიჩის საზაფხულო ლიგაში. „ნაგიტსმა" პირველი თამაში კი წააგო, მაგრამ ნიკამ ერთობ იყოჩაღა, შეხვედრაში 14 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.



ზაზა ფაჩულია

# ჩემპიონთა ლიგა 2003–2004 პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

თბილისი. ეროვნული. 16 ივლისი

## დინამო — ტირანა

# ივო შუშაკი: კაპიტალი თბილისში უნდა დავაგროვოთ



*სამწლიანი პაუზის შემდეგ „დინამომ“ ჩემპიონობა დაიბრუნა და ახლა ჩემპიონთა ლიგის სამი დარაზული კარის დამტვრევასაც შეეცდება — ჯერ პირველი საკვალიფიკაციო რაუნდია, სადაც ალბანეთის ჩემპიონი ელის.*

*ივო შუშაკს უყვარს ღია ვარჯიშები — გუშინ თბილისის „დინამომ“ გულშემატკივართა თანდასწრებით ივარჯიშა „ეროვნულზე“, სადაც ხვალ ქომაგები ვერ მივლენ. ღია ტრეინინგზე კი ხუთასამდე გულშემატკივარი მივიდა და საკმაოდ დინამიური ვარჯიშიც იხილა*

**წვრთნა** საღამოს შვიდ საათზე დაიწყო. მინდორზე ფეხბურთელთაგან ბოლოს ბრაზილიელები კარლოს და როჩა და რაფაელ ტესერი გავიდნენ. კარლოსი თანამემამულეს აქაურობასთან შეგუებაში ისეც კი ეხმარება, რომ გასახდელთან გასაცნობად წარმომიდგინა კიდეც ქერა ბრაზილიელი.

სანამ შუშაკი ჩაერთვებოდა წვრთნის პროცესში, „ეროვნულის“ მინდორზე „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა გუნდის ოთხ ახალწვეულთან მივიდა და მუდმივნომრიანი მაისურები პრეზენტაციულად გადასცა — სანდრო იაშვილს 20 ნომერი შეხვდა, მამუკა წერეთელს 4, ლევან მელქაძეს 18 და ტესერს 21.

ვარჯიშში ყველაზე საინტერესო ორკარა იყო — შუშაკმა ერთ მხარეს ის თერთმეტეული გაამწესა, „ტირანასთან“ რომ ეიმედება: ზოიძე — ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი — კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, ანჩაბაძე — ახალაია, მელქაძე. ისე, არც მეორე მხარეს იყვნენ ჯაბანი ბიჭები — გვარამაძე, წერეთელი, კარლოსი, ტესერი, სახვაძე, იაშვილი, ბობოხიძე... ერთი სიტყვით, ძალიან ხალისიანი და გულიანი ბურთაობა გაჩაღდა ორი 15 წუთიანი ტაიმით. პირველ ნახევარში ლადო ახალაიამ გაიტანა, მეორეში ბობოხიძემ და 1:1.

ნავარჯიშევს კი შუშაკმა და კლუბის სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ პრესკონფერენციისთვის მოიცალეს.

*შუშაკი:* შეკრებიდან მობრუნებული ყველა მწვრთნელი ამბობს, რომ ნაყოფიერი სამუშაო ჩატარდა. ჩვენი რუიტული შეკრების განსაკუთრებულობა ის იყო, რომ ის ხანმოკლე და ადრეული გახლდათ — ფეხბურთელებმა სეზონის დამთავრების შემდეგ 7-10 დღე დაისვენეს. რუიტული შეკრებით კმაყოფილი ვარ — ფეხბურთელების საქმისადმი მიდგომით და იმით, რომ კარგი პირობები გვქონდა. მოთამაშეთა სერიოზულ ტრავმებსაც ავცდით.

— რაც შეეხება საკონტროლო მატჩებს, მხოლოდ „ულმთან“ თამაშით დავრჩი უკმაყოფილო. გეზი „ტირანასთან“ მატჩებზე გვქონდა აღებული. წილისყრის შედეგები შვებულებაში ყოფნისას შევიტყვე — ყველაზე არასასურველი მეტოქე შეგვხვდა. ალბანურ ფეხბურთს ვიცნობ და გაზვიადების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ალბანეთი საფეხბურთო ერია. ფეხბურთის გარდა ალბანეთში არაა სხვა ისეთი სპორტი, სადაც რაიმე შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. ამ ქვეყანაში 3,5 მილიონი კაცი ცხოვრობს და ყველანი ფეხბურთში არიან ჩაბმულნი. ჩემს სამწვრთნელო კარიერაში რამდენიმე ალბანელ ფეხბურთელთან მიმუშავია და მათ ხასიათსა და საფეხბურთო ნიჭს ვიცნობ. ყოველივე აქედან გამომდინარე უნდა გითხრათ, რომ ალბანეთის ჩემპიონი არაა სუსტი გუნდი და ამაში გივი ნოდიაც დამემოწმება. მოკლედ, საკმაოდ კარგ გუნდთან გვაქვს საქმე. „ტირანა“ არც „მანჩესტერი“ და „იუვენტუსია“ და არც „ლიბერეცი“. თუ ორი თამაშის ჯამში ღირსეულად ვითამაშებთ, მომდევნო ეტაპზე გამსვლელი „დინამოა“.

— „ტირანასთან“ თბილისურ მატჩში ჩვენთვის დადებითი შედეგი ის იქნება, თუ გაშვებული გოლის გარეშე მოვიგებთ — საპასუხო მატჩისთვის ეს ძალიან დიდი კაპიტალია.

*ნოდია:* როგორც იცით, „ფერენცვაროშ“ — „ტირანას“ მატჩს დავესწარი. ალბანელებმა ნორმალური, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. „ტირანამ“ სამი მცველით, სამი ცენტრალური ნახევარმცველით და ორი ინსაიდით ითამაშა, ანუ ალბანეთის ეროვნული ნაკრების განლაგებით. „ტირანას“ გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, თუმც გამოვარჩევდი გუნდის კაპიტან რეზარტ დაბულას, რომელიც მოედნის სიღრმიდან კარგად უტევს და ინდრიტ ფორტუზს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შეცვლაზე შესულმა მოთამაშეებმა სრულფასოვნად შეცვალეს სასტარტო შემადგენლობის ხალხი — ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ტირანას“ გრძელი სკამი აქვს. „ტირანამ“ საშუალოზე ოდნავ მაღალი ტემპით ითამაშა, უნგრელებმა კი კარგი შთაბეჭდილება არ დატოვეს. „ტირანა“ სამხრეთული სტილის გუნდია, ბურთის კონტროლი უყვარს და პირველ რიგში ალბათ ამითაა უხერხული მეტოქე ჩვენთვის. მაგრამ, ვფიქრობ, „დინამო“ პოტენციურად მასზე ოდნავ ძლიერია. სათამაშო რგოლებიდან კი „ტირანას“ დაცვას გამოვყოფდი.

*შუშაკი:* როგორც უკვე იცით, „დინამოს“ ოთხი ახალწვეული ჰყავს. თუ არ ვცდები, სამ მათგანთან კლუბმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იაშვილი ნიჭიერი ფორვარდია და ის უკვე ექვსი თვეა, რაც გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს. იაშვილის თამაშში პროგრესი იგრძნობა. ჩვენი მოლოდინი გაამართლა მამუკა წერეთელმაც — ის კარგი მცველია. მელქაძის გადაბირება კი დიდი ხანია გვსურდა — ეს ფეხბურთელი თავის ნიჭსა და პოტენციალს „დინამოშიც“ დაამტკიცებს.

— რაც შეეხება ტესერს, ეს ახალგაზრდა ბრაზილიელი თანამედროვედ, სწრაფად ფიქრობს და მოქმედებს. მასში სატრანსფერო თანხა გადასახდელი არ არის. ის ერთი წლით ავიყვანეთ და, ვფიქრობ, „დინამოში“ ფეხს მოიკიდებს.

— გვსურდა კიდევ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის დამატებაც, მაგრამ მათში ქართული სატრანსფერო ბაზრისთვის არარეალური თანხები მოითხოვეს.

— ტრავმირებულმა რატი ალექსიძემ ბაზაზე მოგვინახულა. ის მკურნალობის კურსს ამთავრებს და ალბათ ერთ კვირაში ვარჯიშსაც დაიწყებს.

— კარლოსმა ძირითადში ადგილი იმიტომ დაკარგა, რომ შეკრებაზე ათი დღით დაიგვიანა და დაისაჯა. ის, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა ჯდება გუნდში.

— რაც შეეხება ვიტალი დარასელიას, როცა მას თავდამსხმელად ვათამაშებდით, ზოგი კითხულობდა, ასე რატომ არისო, მაგრამ დარასელია ჩვენი საუკეთესო მეგოლე იყო. მერე დარასელია ნახევარდაცვაში გავამწესეთ და იქაც წარმატებით ითამაშა — მისი ამპლუა აღარ შეცვლილა.

**დავით თავართქილაძე**



გია ფირცხალავამ ტესერს 21-იანი მაისურა ჩააბარა

**„დინამოს“** ბრაზილიელმა კარლოსმა გუნდის რუიტულ შეკრებაზე ათი დღე დაიგვიანა, რისთვისაც მწვრთნელის წყრომა დაიმსახურა. შუშაკმა ის დააჯარიმა და, ჩანს, ძირითად შემადგენლობასაც დროებით ჩამოაშორებს. მწვრთნელმა *კარლოსის* შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა, ფეხბურთელმა კი ჩვენ ეს გვითხრა.

— რუიტში ჩასვლა ოჯახური პრობლემების გამო დამიგვიანდა. ახლა არ აქვს აზრი იმის თქმას, რა პრობლემები მქონდა. სანამ გუნდთან ერთად ვარჯიშს დავიწყებდი, მანამდე, რა თქმა უნდა, მწვრთნელს ვესაუბრე. გასარკვევი გავარკვიეთ, შუშაკმა გამიგო.

**— და ფიქრობ, „ტირანასთან“ გათამაშებს?**

— ვერაფერს ვიტყვი. თუ მწვრთნელი ძირითადში მათამაშებს, ხომ კარგი, თუ არა და სათადარიგოდ მაინც ვიქნები.

**— გაცდენილი დღეები ალბათ შენს სათამაშო ფორმასაც დაეტყო...**

— ფიზიკურად არა მიშავს, რუიტში ბევრი ვირბინე, არც სხვა ვარჯიშები დამკლებია. ბრაზილიაშიც არ ვყოფილვარ წამოწოლილი. თავს ნორმალურად ვგრძნობ, თუმც სათამაშო პრაქტიკა მაკლია. რუიტში ხომ გუნდს ბოლოსკენ შევუერთდი და იმდენმა თამაშმა არ მომიწია, რამდენმაც სხვა დინამოელებს.

სხვებთან შედარებით რუიტში „დინამოს“ ახალწვეულმა *ლევან მელქაძემაც* ცოტა ითამაშა, სულ ორჯერ. გუნდს მელქაძე და კარლოსი თითქმის ერთდროულად შეემატნენ.

და თუ „ტირანასთან“ კარლოსის სათადარიგოობა უფრო მოსალოდნელია, ლევანი, ალბათ, ძირითადში იქნება. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ ასე ვფიქრობთ:

— „დინამოში“ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ სათადარიგოობას დავჯერდე. ძირითადში თამაში მსურს და საამისოდ ძალ-ღონეს არ დავზოგავ. ვიქნები თუ არა „ტირანასთან“ სასტარტო შემადგენლობაში, ამას მატჩის დღეს გეტყვით, ჯერ არ ვიცი.

**— შუშაკისეულ წვრთნის მეთოდს როგორ შეეგუე?**

— არ გამჭირვებია, მისი ვარჯიშები საინტერესო და მრავალფეროვანია. უკვე ერთი კვირაა, გუნდთან ერთად ვარ. შუშაკმა თბილად მიმიღო, ბიჭებს კი კარგა ხანია, ვიცნობ.

**— „ტირანას“ თამაშებს ჯერ არ გაცნობიხართ?**

— გავცნობივართ თუ არა, ერთი კი ვიცი, ძალიან რთული მატჩები გველის. არც ერთი ქვეყნის ჩემპიონი არაა ხელწამოსაკრავი, მით უმეტეს ალბანეთის, რომლის ნაკრებიც ახლა აღმავლობის გზაზეა. და მაინც, „დინამომ“ თუ „დინამოსავით“ ითამაშა, მოვიგებთ!

მოგების წინაპირობა კარგი მომზადებაა. „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი *გიორგი ანჩაბაძე* კი ფიქრობს, რომ „დინამოს“ აშკარა პროგრესი ეტყობა და რუიტული შეკრება გუნდისთვის ნაყოფიერი იყო.

— მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ. სავარჯიშოდ იდეალური პირობები გვქონდა და ჩვენც გულმოდგინედ ვასრულებდით მწვრთნელის მითითებებს. რა გამოგვივიდა, ამ კითხვაზე „ტირანასთან“ მატჩი გვიპასუხებს.

**— თავად როგორ ფორმაში ხარ?**

— რუიტში საკმაოდ დიდი დატვირთვები გვქონდა, თან ვთამაშობდით. ამხანაგური მატჩები ურიგოდ არ ჩაგვიტარებია, მაგრამ მაინც, ამხანაგური ერთია, ოფიციალური — მეორე. ამიტომაც, ვერ გეტყვით, როგორ ფორმაში ვარ. სჯობს „ტირანას“ დაველოდოთ.

**— წინა სეზონთან შედარებით ატყობ, რომ გუნდმა მოუმატა?**

— ეს ნელ-ნელა გამოჩნდება, თუმც ახლავე ვიტყვი, რომ გუნდი აშკარად პროგრესის გზაზეა. წლეულს „დინამო“ უკეთესი იქნება.

**კობა ინასარიძე**



ლევან მელქაძე

# ალბანეთმა არ იცოდა

## კარგი ამბავი, რომელიც გვიან გავიგეთ



მიქელე იანჩუ
ტირანიდან
*საგანგებოდ „სარბიელისთვის“*

**თბილისში** გამომგზავრებამდე „ტირანამ“ კარგი ახალი ამბავი შეიტყო: ალბანეთში არავინ იცოდა, თუ თბილისში მატჩი უმაყურებლოდ ჩატარდებოდა. როცა ჩვენთვის ნაცნობი პაიჭაძის სახელობის სტადიონის მდგომარეობით დავინტერესდით, მერეღა გავიგეთ, რომ „დინამო“ — „ტირანას“ თამაშისას ტრიბუნები ცარიელი უნდა იყოს. გუნდის ხელმძღვანელობამ ეს ალბათ იცოდა, თუმც ფეხბურთელებს შეგნებულად უმალავდნენ. იოლი მისახვედრია, რატომაც: ჯერ ერთი, მოთამაშეები არ მოდუნებულიყვნენ, მეორეც — სასიამოვნო სიურპრიზი ძნელი მატჩის წინ მშვენიერი ფსიქოდოპინგია. თბილისში წამოსვლამდე ისედაც ოპტიმისტურად განწყობილი „ტირანა“ ამ ინფორმაციამ მართლაც ძალიან გაახარა და ფეხბურთელებს ძლიერ მეტოქესთან წარმატების იმედი შემატა.

„ტირანა“ თბილისში სამშაბათს, დილის რვა საათზე, ჩარტერული რეისით გამოფრინდება და სასტუმრო „შერატონ-მეტეხში“ გაჩერდება. წამოსვლამდე ერთი დღით ადრე მწვრთნელმა სულეიმან მემამ გუნდი ორად გაყო და „დინამოსთან“ შეხვედრამდე კიდევ ერთხელ შეამოწმა მოთამაშეთა მზადყოფნა. 3:0 მოიგო „ტირანას“ იმ შემადგენლობამ, რომელსაც მემა სავარაუდოდ თბილისშიც ათამაშებს: *ქაბო; დაბულა, დედე, პინარი, სინა, მუკა, ქ. ბულკუ, ლიცი; ჰალილი; ჯაფა, ფორტუზი.* მემა კმაყოფილი დარჩა, თავად ფეხბურთელებს კი, უკვე ვთქვი, „დინამოსთან“ წარმატების იმედი აქვთ. გუნდი თბილისში უძლიერესი შემადგენლობით მოდის, უნგრული შეკრებისას რამდენიმე ფეხბურთელი კი დაშავდა, მაგრამ მათ გამოჯანმრთელება უკვე მოასწრეს.





# კალაძის ქართული შვებულება

**მილანში** გამგზავრებამდე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი კახა კალაძე ბათუმურ მზეზეც გაირუჯა. კახა უკვე რა ხანია, საქართველოშია და მონტე კარლოში მის ერთკვირიან ყოფნას თუ არ ჩავთვლით, მთელ შვებულებას აქ ატარებს.

თბილისურ ხვატს მილანელი შავი ზღვის პირას განერიდა და სამი დღე ბათუმში გაატარა. დარჩენასაც აპირებდა, თუმც ამინდმა გადააფიქრებინა.

ბათუმურ სამ დღეში კი კახასთვის მზეც იყო, ზღვაც, გართობაცა და ოფიციალური ამბებიც. კალაძე აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ მიიღო, და მის პატივსაცემად სადილიც გამართა. კახა მასპინძლობით კმაყოფილი დარჩა და კიდევ ერთ მადლობას აჭარელებს თბილისიდანაც უგზავნის. კახა 18-მდეც აქ იქნება, 20 ივლისიდან კი „მილანი“ და ახალი სეზონი ელის.

**კობა ინასარიძე**

# ხიზანეიშვილი მოსკოვმა თბილისში დატოვა

**მოსკოვის „დინამოდან“** ნათხოვარი ოთარ ხიზანეიშვილი ზამთრამდე თბილისის „დინამოში“ დარჩება. ეს ამბავი წუხელ ორი კლუბის ხელმძღვანელთა მოლაპარაკებისას გადაწყდა. არადა, გუშინ სალამომდე თავად ფეხბურთელმაც არ იცოდა, რა ელოდა — თბილისში დარჩებოდა თუ მისი პატრონი რუსული „დინამო“ სხვაგან გაყიდიდა. შეგახსენებთ, ოთარ ხიზანეიშვილი კონტრაქტით სწორედ მოსკოველ დინამოელებს ეკუთვნით.

ხიზანეიშვილის თბილისური „დინამოდან“ წასვლაზე უკვე მერამდენედ ალაპარაკდნენ. ოთარის დაბრუნების სურვილი რუსებს შარშან ამ დროსაც ჰქონდათ, თუმც თბილისელებმა იყოჩაღეს და ფეხბურთელი შეინარჩუნეს, მერე იყო და, მოსკოვმა ხიზანეიშვილი ზამთარში გაიხსენა — „დინამომ“ ისევ შეძლო თავის სასარგებლოდ რუსებთან მოლაპარაკება. მოსკოვის „დინამომ“ განათხოვრებული ფეხბურთელის დაბრუნება, უფრო სწორად, დაბრუნება და მერე გაყიდვა, ამ რამდენიმე დღის წინ კიდევ მოიწადინა. გავრცელდა ინფორმაცია, რუსები ოთარს შვეიცარიულ „ბაზელში“ ან ბუნდესლიგის რომელიღაც გუნდში უპირებენ გაშვებასო. ხიზანეიშვილი კი, ვინც ბოლო დროს „დინამოშიც“ და ეროვნულ გუნდშიც გამორჩეულთაგანია, თბილისელებსა და მათ მწვრთნელს არ ეთმობოდათ, მაგრამ



მოსკოველები თავის ფეხბურთელს ითხოვდნენ და არც „დინამოს“ ჰქონდა ხიზანეიშვილის დაკავების უფლება. დაიწყო მოლაპარაკება, რაც რამდენიმე დღე გაგრძელდა და როგორც ვთქვით წუხელ, ისევ ქართული „დინამოს“ სასარგებლოდ დასრულდა.

ხიზანეიშვილი „ტირანასათანაც“ ითამაშებს და მერეც, ზამთრამდე. თუმც იქამდე, ვინძლო, რუსებს ოთარი აღარ გაახსენდეთ და „დინამომ“ „დინამოსგან“ მისი გამოსყიდვაც მოახერხოს.

**კობა ინასარიძე**

# დღე პირველი რეინჯერსში



„გლაზგო რეინჯერსის“ ახალი ქართული შენაძენი ზურაბ ხიზანიშვილი გუშინ შეუერთდა ალექს მაკლიშის გუნდს — „რეინჯერსი“ გერმანიაში, ნიურნბერგშია შეკრებაზე. ნამგზავრმა ხიზანიშვილმა გუშინვე პირველად ივარჯიშა რეინჯერსელ თანაგუნდელებთან. ზურას წუხელ ნიურნბერგში დავუკავშირდით და მიუხედავად მომქანცველი დღისა, ხანმოკლე საუბარზე არ დაგვზარდა.

— „რეინჯერსში“ ნორმალურად მიმიღეს, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, ყველაფერმა ჩვეულებრივად და კარგად ჩაიარა. ნიურნბერგში 23 ივლისამდე დავრჩებით და მერე გლაზგოში გავაგრძელებთ დამდეგი სეზონისთვის მზადებას. ნიურნბერგში ოთხთა ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. სიმართლე გითხრათ, ჩვენი და „ფიურტის“ გარდა კიდევ რა გუნდებია ამ ტურნირში, ჯერ არ ვიცი. რაც შეეხება ბრიტანეთის სამუშაო ვიზას, ის ჯერ ხელთ არ მაქვს, მაგრამ არა მგონია, რაიმე პრობლემა შემექმნას, ვიზის აღება უბრალოდ დროის ამბავია — გვითხრა ხიზანიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

# ტორპედომ ორივე დობრუჯა გალახა

**ბულგარულ** კურორტ ალბენაში მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ უკვე ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება მოასწრო. რიონისპირელთა მეტოქეები დიდი ვერაფერი ხვითოები გამოდგნენ. პირველად სოსო ფრუიძის გუნდი „დობრუჯა 2001“-ს გაეჯიბრა და 9:0 მოუგო. წუხელ კი „ტორპედოს“ მეტოქე „დობრუჯა 2001“-ის მონათესავე თუ მოსახელე ქვედალიგელი „დობრუჯა“ იყო. ამჯერად ქართველებმა 3:0 „იკმარეს“. გოლები კი ანდრი პოროშინმა, გიორგი ჩხეტიანმა და დავით მუშკუდიანმა გაიტანეს.

სოსო ფრუიძემ ორი შემადგენლობით ათამაშა გუნდი. პირველი ტაიმი: *სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, ჭელიძე, გამეზარდაშვილი, კვეტენაძე, ბაბუნაშვილი, კვერნაძე, ზ. ქუთათელაძე, თოდუა, ახალკაცი;* მეორე ტაიმი: *სომხიშვილი, პოროშინი, ნერგაძე, გაგა ჩხეტიანი, გოგოლაძე, გიორგი ჩხეტიანი, ლალაძე, დარსაძე, მუშკუდიანი, ფესტვენიძე.*

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ „ტორპედო“ უფრო გააქტიურდა, თუმც სოსო ფრუიძის თანაშემწის გელა კიკალეიშვილის თქმით, „დობრუჯა“ პირველ ტაიმშიც მრავალჯერ გადაურჩა გოლს.

ხვალ ქუთათურები კიდევ ერთ მატჩს ითამაშებენ. მეტოქე რუმინული კლუბია.

**კახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივის კიკერსული 1:1

## ნანა სუსტიკოა?



ნანა ეშუანი

**გერმანული** შეკრება თბილისის „ლოკომოტივს“ შაბათს დაეწყო. კვირას რკინიგზელებს ორჯერადი ვარჯიში ჰქონდათ. გუშინ კი დილით ივარჯიშეს, ხოლო საღამოს პირველი საკონტროლო მატჩიც ითამაშეს რუიტიდან ავტოთი რამდენიმე წუთის სავალზე — რეგიონალლიგის „შტუტგარტერ კიკერსთან“ ფრეს გამორჩნენ — 1:1.

შტუტგარტში „კიკერსის“ სტადიონზე დაახლოებით 1 500 გულშემატკივარი მივიდა მათი გუნდის ქართველებთან ბურთაობის სანახავად. პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, საპასუხო კი თეიმურაზ ბურნაძემ შეაგდო 35-ე წუთზე. „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ლომაია, კაშაკიძე, სალუქვაძე, ქემოკლიძე, ზამთარაძე (უგრეხელიძე), შავგულიძე (სანიკიძე), ქოქიაშვილი (გ. ონიანი), ბურნაძე (კაკაშვილი), სირაძე, გოგინაშვილი, ქორიძე (კობახიძე).*

— დაღლილობის გამო ჩვენს ფეხბურთელებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ. მეტოქედ კარგად ორგანიზებული და ათლეტური გუნდი გვყავდა. მეორე ტაიმში უკეთესად ავთამაშდით და საგოლე მომენტებიც უფრო მეტი შევქმენით — გვითხრა „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ.

რაც შეეხება განელ ფორვარდ ნანა ეშუანს, რუიტში ის ჯერ არ გამოჩენილა. ლევან ხომერიკმა კი იმიტომ არ ითამაშა, რომ კუნთი დაეჭიმა და ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

მომდევნო საკონტროლო მატჩს ლოკომოტიველები სავარაუდოდ 18 ივლისს ითამაშებენ „როიტლინგენთან“.

**დავით თავართქილაძე**

# დინამომ ბორჯომი დაიწერა

**თბილისის „დინამოს“** სპონსორი „ბორჯომი“ იქნება. კლუბსა და კომპანიას შორის შეთანხმება უკვე მიღწეული და ბეჭედდასმულია. კონტრაქტის დეტალებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, ამის თაობაზე „დინამოს“ ხელმძღვანელები დღეს ეროვნულ სტადიონზე დაგეგმილ პრესკონფერენციაზე ილაპარაკებენ.

„დინამო“-„ბორჯომის“ პარტნიორობა კლუბის ევროსარბიელზე თამაშით არ შემოიფარგლება და ეროვნულ ჩემპიონატსაც გასწვდება. ამ სეზონის ყველა მატჩს, საერთაშორისოს თუ შინაურს, თბილისელები „ბორჯომით“ ჩაატარებენ: მათ მაისურებზე სპონსორის სახელი წაიწერება, სათამაშო სარბიელზე კი „ბორჯომის“ სარეკლამო ფირნიშები დაიდგმება.

**კობა ინასარიძე**

*გელზენკირხენის „შალკე 04“ აღმოსავლეთ გერმანიაში ემზადება და მორიგ საკონტროლო მატჩში ობერლიგის „ვაიმარს“ გაეჯიბრა – დასავლეთგერმანელებმა შეხვედრა 6:0 მოიგეს, გოლები კი მათგან ემილ მპენზამ (ორი), კრისტიან პოულსენმა, ებე სანდმა, დარიო როდრიგესმა და ვიქტორ აგალიმ გაიტანეს.*

# აუფ! რა ლამაზია

## რატომ შურთ შალკესი და კობიაშვილის



**პირველად მოხდა**, რომ ლევან კობიაშვილი სასტარტოში არ იყო, თუმც საკონტროლო თამაშისთვის ეს ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს. „ვაიმართან“ მატჩს ხუთი ათასამდე მაყურებელი დაესწრო და „შალკემ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: როსტი (უნლუ) — ალსიდესი, ვალდოხი (მატელანი), ჰაიტო, როდრიგესი (კობიაშვილი 64) — ცოიმერი, ალტინტოპი (ასამოა 46), პოულსენი (ვერმანტი 64), ტროიანი (პინტო 64) — სანდი (აგალი 46), მპენზა (ჰანკე 66).

ამასობაში საagენტო „როიტერმა“ საგანგებო წერილი უძღვნა გელზენკირხენელებს. „როიტერი“ დასძენს, „შალკეს“ საამსეზონოდ ექვსი ახალწვეული ჰყავსო და მათგან პირველ რიგში კობიაშვილს ახსენებს. ახალგაზრდა ჰამიტ ალტინტოპი „ხუმარებს“ რეგიონალლიგის „ვატენშაიდიდან“ გადმოუყვანიათ, ხოლო სიმონ ცოიმერი ჰოლანდიური „ტვენტედან“ — ამ ნახევარმცველებმა „შალკეში“ ანდრეს მიოლერის და მარკ ვილმოტსის შეცვლა უნდა შეძლონ.

„შალკესა“ და ბუნდესნაკრების მარცხენაფლანგელი იორგ ბიომე დაწყვეტილი მუხლის მყესების გამო ექვს თვეს ვერ ითამაშებს და მისი არყოფნა „შტუტგარტიდან“ გადმოსულმა იოხენ ზაიცმა უნდა გააბათილოს.

თავდასხმაში „ხუმარებს“ დანიელი სანდის აფეთქების იმედი აქვთ — ეს ფორვარდი ორი წლის წინ ბუნდესლიგის ბომბარდირი იყო 23 გოლით, თუმც წინა სეზონში ოდენ ექვსი ბურთი გაიტანა. „ერთი სული მაქვს, ყველას დავანახო, რომ მეტოქეთა კარის სიახლოვეს კვლავაც სახიფათო ვარ“ — ამბობს სანდი.

იუპ ჰაინკესი, სახელიანი მწვრთნელი, რომელმაც 1998 წელს მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, ხოლო „შალკეში“ „ბილბაოდან“ გადაბარგდა: „ნებისმიერი ჩემი გაწვრთნილი გუნდი მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ სულ ლამაზი ფეხბურთი ითამაშო, მაგრამ ჩვენი ტენდენცია ნათელია. ფეხბურთი შემოქმედების და წარმოსახვის უნარით ცოცხლობს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ კარგი სეზონი გვექნება და გულშემატკივრებს გავახარებთ. ბუნდესლიგის შვილი ვარ და ჩემი „შალკეში“ მისვლით თავისებური წრე შეიკრა — ჩემთვის ეს ფესვებთან დაბრუნებაა“.

გერმანელი ექსპერტების აზრით, „შალკე“ დამდეგ ბუნდესლიგაში საუკეთესო ხუთეულში აუცილებლად მოხვდება (წინა სეზონში „ხუმარები“ მე-7 ადგილს დასჯერდნენ). მიუნხენის „ბაიერნის“ დამრიგებელი ოტმარ ჰიცფელდი კი მიიჩნევს, რომ ჰაინკესთან ერთად „შალკე“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

„როიტერი“ შალკეზე წერილის ბოლოს იმასაც იუწყება, რომ ბუნდესლიგაში „ხუმარების“ მხოლოდ ჰაინკესი როდი შურთ — ტექნოლოგიურად უმაღლეს დონეზე აგებული არენა „აუფშალკე“ სხვა წამყვან გერმანულ კლუბებს გვარიანად აცქმუტებსო.

**დავით თაგართქილაძე**

# შეყილაძე კუნძულზე მარტო არ არის

**გელა შეყილაძე** ბელგიიდან კვიპროსზე გადაბარგდა და „ლიერსში“ გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ კარიერას ერთი წლით „პარალიმნიში“ გააგრძელებს.

ქართველმა მცველმა, რომელსაც თავის დროზე ეროვნულ გუნდშიც უთამაშია და ჩვენში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა, წინა სეზონი ბელგიის მეორე დივიზიონის „რუზელარეში“ ჩაამთავრა. ამ კლუბში ის „ლიერსმა“ გაანათხოვრა.

ამასობაში გელას „ლიერსთან“ კონტრაქტიც დაუმთავრდა, „რუზელარეში“ დარჩენა იუარა და ახალი გუნდის ძებნა დაიწყო. მას რუმინეთიდან და კვიპროსიდან ჰქონდა წინადადებები. საბოლოოდ, გელამ კუნძული ირჩია, გუნდი, სადაც ლევან ქებაძეც თამაშობს.

ქვეყნის წინა ჩემპიონატში „პარალიმნი“ მეათე ადგილზე გავიდა. შეყილაძე გუნდს ამ კვირაში უნდა შეუერთდეს.

**ძოგა ინასარიძე**

# ვასონი — პასონი აეწყო, რეხვიაშვილი — ივანოვი ვერა

**უკრაინის** მეცამეტე ჩემპიონატი ქართველთათვის მეტად უიღბლოდ დაიწყო. ვერც ერთმა „ქართულმა“ კლუბმა ვერ გაიმარჯვა. ყველაზე მოულოდნელი შედეგი ორი მატჩის იყო: დონეცკის „მეტალურგმა“ ფრეზე მეტი ვერ გაახერხა შინ უსახელო „ვორსკლასთან“, ხოლო კიევის „არსენალი“ სულაც ლიგის დებიუტანტ „ზირკასთან“ დამარცხდა.

მარცხისგან შორს არც დონბასელები იყვნენ. ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგი“ 0:2 აგებდა „ვორსკლასთან“, მაგრამ გათანაბრება შეძლო. თანაბრობისა კი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა პენალტით. „მეტალურგი“ მესამის გასატანადაც გაიქაჩა, მაგრამ დემეტრაძის გოლიდან რვა წუთში მასპინძლებს მეკარე გაუგდეს და თამაშიც დაწყნარდა. ორივე ჩვენებურმა სრულად ითამაშა. დონეცკელთა მესამე ქართველი ოლეგ გველესიანი კი ჯერაც სატრანსფერო ფურცლის მოლოდინშია და მატჩს შორიდან ადევნა თვალი.

ქულით დაბრუნდა სიმფეროპოლში იონანიძე-ჩომახიძის „ტავრია“. ტავრიელებმა „ილიჩევეცთან“ გაიყვეს ქულები. იონანიძემ 90 წუთი ითამაშა, ჩომახიძე კი სათადარიგო იყო.

რუსეთში საფეხბურთო სეზონი პრემიერლიგის მეორე წრით განახლდა. ტურის ყველაზე გამორჩეული ქართველი კი რუსული ფეხბურთის დებიუტანტი, ყოფილი ტავრიელი ვასილ გიგიაძე გამოდგა. ჩვენებური „ტორპედო-მეტალურგ“ — „ურალანის“ მატჩის მე-10 წუთზე გამოჩნდა მოედანზე და სტუმართა თამაშს სიმწვავე შემატა. მოსკოველები თავიდან კი დაწინაურდნენ, მაგრამ ვასილ გიგიაძემ მოედანზე შესვლიდან ათიოდ წუთში იტალიელ პასონის საგოლე პასი მიართვა — 1:1.

ვასოს გატანა თავადაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოში დატრიალებულმა მოტყუებულ მცველებს კიდევ ერთხელ ჩამოუარა და... კარში დარტყმა საერთოდ „დაავიწყდა“.

ეს მატჩი ძალიან უხეირო გამოდგა ტორპედომეტალურგელ ალექსანდრე რეხვიაშვილისთვის. აი, რა თქვა მოსკოველთა თავკაცმა ვალენტინ ივანოვმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე: „რეხვიაშვილი სამი დღით გავუშვით შინ და რომ დაბრუნდა, ველარ ვიცანი. მოედანზე ყველაფერი გამოჩნდა. მე მას ვთხოვე, ლოპესის წინააღმდეგ პერსონალურად ეთამაშა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა. შესვენებაზე მითხრა, დავალებას კარგად ვასრულებო. მე კი სხვაგვარად ვფიქრობდი და ამიტომაც მას სკამზე დაჯდომა ვუბრძანე“.

ლატვიაში მეორე საამსეზონო გოლი გაიტანა ლევან კორღალიძემ. მისი „სკონტო“ სტუმრად იოლად გაუსწორდა „გაუიას“. ჩვენებურმა ანგარიში გახსნა და ახლა რიგელები ისევ კვალში უდგანან „ვენტსპილსს“. მართალია, „სკონტო“ ქულით ჩამორჩება კონკურენტს, მაგრამ ერთი თამაში რეზერვში აქვს.

**კახა შალამბერიძე**



ალექსანდრე რეხვიაშვილს (შუაში) მწვრთნელთან კამათი ძვირად დაუჯდა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | რუბინი 1:1 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 9 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | რუბინი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | ჩერნომორეცი 3:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 11 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | შ | შინიკი 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 15 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 6 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 6 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | სპარტაკი 2:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | კრილია 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | ურალანი 1:1 | 49 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 13 | 1 | 16 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | შ | როტორი 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | ტ. მეტალურგი 1:1 | 80 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი | 1 | 0 | 14 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | ტ. მეტალურგი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ვორსკლა 2:2 | 90 | | 1 | 0 | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ვორსკლა 2:2 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | 6 |
| ოლეგ გველესიანი | მ. დონეცკი | შ | ვორსკლა 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 6 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | კარპატი 1:4 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ილიჩევეცი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ილიჩევეცი 1:1 | 90 | | 1 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ზირკა 0:1 | 90 | | 1 | 0 | 12 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | გაუია 2:0 | 77 | 1 გოლი, შეცვალეს | 7 | 2 | 2 |
| თამაზ პერტია | არმა | შ | ვენსტპილსი 0:7 | 90 | | 13 | 1 | 8 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | ს | ესილი 1:1 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 17 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | ს | ესილი 1:1 | 72 | შეცვალეს | 10 | 0 | 17 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | ესილი 1:1 | 90 | | 10 | 1 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჰოიდონკი ფენერში და ცოლის კამერაშია

## დე ბურმა ოვერმარსი გაიპიროვნა

**როტერდამის** „ფეიენოორდის“ აწ უკვე ყოფილი მეგოლე, პიერ ვან ჰოიდონკი სტამბოლში ჩავიდა და „ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტი გააფორმა. ხელმოწერის ცერემონია ისეთი იყო, როგორსაც „ფენერის“ პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი ყოველ ზაფხულს აწყობს ახალი მოთამაშეების გადაყვანისას, ანუ პომპეზური. თურქებს ჰოლანდიელი მილიონ 130 ათასი ევრო დაუჯდათ და ფეხბურთელმა სტამბოლურ კლუბს სიყვარული ორი წლით შეჰფიცა.



პიერ ვან ჰოიდონკი

ერთი სიტყვით, მტრები, „გალათასარაი“ და „ფენერბაჰჩე“, ჰოლანდიელებით შეიარაღდნენ. ფრანკ დე ბურმა „გალას“ მაისურა რომ მოირგო, ცნობილია.

„ფრანკი ჩემი მეგობარია და მიხარია, რომ ერთმანეთს ხშირად ვნახავთ. ჩვენი მეგობრობა სტამბოლური დერბისას დროებით შეწყდება და მერე ისევ განახლდება“ — იხუმრა ვან ჰოიდონკმა.

ხელმოწერის შემდეგ ფენერელებმა სტადიონს მიაშურეს, სადაც 33 წლის ფეხბურთელი ბურთს გაეთამაშა და ფანობას ახლოდან დაენახვა. მას მეუღლე ვიდეოკამერით ფეხდაფეხ დასდევდა და უღებდა.

კლუბმა პიერ ვან ჰოიდონკს ორი 17-ნომრიანი მაისურა აჩუქა, რომლებზეც ფეხბურთელის შვილების სახელები დაეწერათ. ესენი შენს ბიჭებს ჩვენგან გადაეციო, უთხრეს ჰოლანდიელს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „გალათასარაის“ ფრანკ დე ბურის გადაბირების შემდეგ მადა გაეხსნა და ახლა მარკ ოვერმარსსაც ეკურკურება. შუამავლობას ტყუპისცალი კისრულობს.

**რომან თურქია**



კრისტიან ვიერიმ ოფიციანტობაც გასწია

# აცადეთ კაცს ჭამა

**შაბათს** კრისტიან ვიერი 30 წლისა მოიყარა და განაცხადა, ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი „ინტერის“ შემადგენლობაში სკუდეტოს მოპოვება იქნებაო.

ვიერის დღეობამ ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების თანდასწრებით ჩაიარა. დაპატიჟებულთა შორის იყვნენ ბროკი, ალესიო ტაკინარდი, ჯანლუიჯი ბუფონი და რონალდო. ამბობენ, რომ რეპორტიორებმა იუბილარს კითხვები მაშინ დააყარეს, როდესაც მან რონალდოსთან ერთად ტორტის გადარჩენილი, მაგრამ ძალიან დიდი ნაჭერი გადასანსლა.

„ჩელსი“? არავითარ შემთხვევაში. ლონდონში მხოლოდ შვებულების დროს ჩავდივარ ხოლმე. 30 წელი ის ასაკია, როდესაც კაცმა ცხოვრების განვლილი ეტაპი უნდა გააანალიზოს. საკუთარ თავს ჯანმრთელობას და „ინტერის“ წარმატებებს ვუსურვებ“— პასუხობდა ფორვარდი, რომელსაც სატრფოზე, ელიზაბეტ კანალისზე ერთი სიტყვა არ დასცდენია. ამბობენ, მათი რომანი დასრულდაო.

**ბაკურა ძიძია**

**„ბარსელონამ“** ზაფხულის ამხანაგური შეხვედრების გეგმა შეადგინა. სეზონთშორისი შეკრებები ორ ეტაპად, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მოეწყობა.

ტურნე კი 17 ივლისს დაიწყება, როდესაც, ხმლების მეგობრულად გადაჯვარედინებამდე, ფრანკ რაიკარდი ბარსელონაში ბოლო ვარჯიშს ჩაატარებს.

პირველ ტურნეში კატალონიელები ამერიკის სამ ქალაქში „მანჩესტერ იუნაიტედს“, „მილანსა“ და „იუვენტუსს“ შეხვდებიან. სხვათა შორის, „მილანი“ და „იუვენტუსი“ იქვე გაითამაშებენ იტალიის სუპერთასს.

შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, რაიკარდის გუნდი ისევ გზას დაადგება და ინგლისს გაემგზავრება, სადაც „ლესტერ სიტის“, „მანჩესტერ სიტისა“ და „დერი სიტის“ დაუპირისპირდება.

ამასობაში კი ახალმა ჰოლანდიელმა დამრიგებელმა მომავალი პრიმერას დასაწყისისთვის საჭირო მოთამაშეთა შერჩევა უცილობლად უნდა მოასწროს. ესპანეთის ჩემპიონატის ქარცეცხლამდე, სეზონთაშორისის ჩამთავრების ჟამს, „ბარსელონას“ კიდევ 3 შეხვედრა დარჩება ჩასატარებელი — სამივე ესპანეთში. პირველად არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან“ ითამაშებენ, შემდეგ კატალონიის თასზე უწევთ თავიანთი ძალის დამტკიცება, ბოლოს კი, 16 აგვისტოს, ელჩეში ითამაშებს.

# დიდი მზადება...

## ბარსა დედამიწის გარშემო



ტურნედან „კამპ ნოუზე“ დაბრუნებულ „ბარსელონას“ აი, რა დახვდება

**ლადო ხომერიკი**

# წყარო წყურვილს ვერ იკლავს

## სავიოლას ბარსელონადან გზის გაგნება არ უნდა

*„ხავიერ სავიოლა კატალონიაში მჩქეფარე მთის წყაროა, მეტოქეთა ვაკე მოედნებზე მრისხანე მდინარედ რომ იქცევა ხოლმე“ – სწორედ ასე შეაფასა ამასწინათ ერთ-ერთმა ბარსელონურმა გაზეთმა ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ახალგაზრდა არგენტინელის ნიჭი და მონდომება.*

*თავად „ბაჭია“ კი მიღწეულზე გაჩერებას არამც და არამც არ აპირებს – კატალონიური გრანდის სასახელოდ სულ უფრო მეტი და მეტი გოლი უნდა გავიტანოო.*

*„ბარსელონას“ საინტერნეტო გვერდზე გამოქვეყნებული მისი ინტერვიუც სწორედ ამას მოწმობს*



**— მალე ორი წელი გახდება, რაც „ბარსაში“ გადმოხვედი. ამ ორ სეზონს როგორ შეაფასებდი?**

— დრომ ძალიან სწრაფად გაირბინა. თითო სეზონში 20-20 გოლი გავიტანე. მე თავადაც ახლახან გადავაბიჯე 20 წელს და შესაბამისად, გატანილი ბურთების რაოდენობის გაზრდა მმართებს.

**— თუ შეასრულე ის ამოცანა, რაც მიზნად გქონდა დასახული?**

— საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ. მინდა, „ბარსელონასთან“ ერთად ჩემპიონობა ვიზეიმო იმ შემთხვევაშიც კი, თუ გოლებს სხვები გაიტანენ. „ბარსას“ სჯეროდა ჩემი და არგენტინიდანაც იმიტომ წამომიყვანა. მართალია, „რივერ პლეიტს“ ჩემი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ აქ თამაში ისე ძალიან მინდოდა, რომ ამას მივაღწიე კიდეც. ანუ, ჩემი ოცნება რეალობად იქცა. ხშირად ვფიქრობ, რომ საოცრად გამიმართლა, რადგან ვაკეთებ იმას, რაც მომწონს — ფეხბურთს ვთამაშობ და პლუს ამაში ფულსაც მიხდიან. დღევანდელი დღით ბედნიერი ვარ, მაგრამ, ცხადია, მეტი ტიტულის მოგება მსურს.

**— როგორ წარმოგედგინა ადრე კატალონიელი ინჩასები და რას ფიქრობ მათზე ახლა?**

— კატალონიელი გულშემატკივრები წარმომედგინა, როგორც დახვეწილი საფეხბურთო გემოვნების მქონე და ძალიან კარგი თამაშის მომთხოვნი ხალხი. ეს მაშინვე დამტკიცდა, როგორც კი „ბარსელონას“ წევრი გავხდი. თუმც მინდა გითხრათ, რომ ისინი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით მეპყრობიან მაშინაც კი, თამაში თუ არ წამივიდა.

**— ალბათ ახალ კლუბში პირველი დღე მძიმედ მოგეჩვენებოდა — მომქანცველი მგზავრობა, სამედიცინო შემოწმება, პრეზენტაციის წინა წუთების ნერვიულობა...**

— კი, პირველ ხანებში მიჭირდა. ერთხელ, როდესაც სავარჯიშოდ მანქანით წავედი, გზის უცოდინარობის გამო უკან ველარ ვბრუნდებოდი და „კამპ ნოუს“ მიდამოებში ბევრი ვიტრიალე.

**— „რივერ პლეიტში“ შენი დამრიგებელი წარსულში დიდი ფეხბურთელი რამონ დიასი იყო, ახლა „ბარსას“ მწვრთნელი თავის დროზე „ოქროს ბურთის“ მფლობელი ფრანკ რაიკარდია. ყოფილი ვარსკვლავების რჩევა-დარიგებები შენზე ალბათ მხოლოდ დადებითად მოქმედებს...**

— მე კატალონიაში „ბარსელონას“ ღირსებისთვის საბრძოლველად ჩამოვედი. მზად ვარ, მთელი ძალღონე ამ გუნდის ძლიერებას შევალიო. მინდა, გავიზარდო როგორც ფეხბურთელი, რადგან, მამაჩემის თქმით, ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და ხვეწს თავის ბუნებას. ვარსკვლავებთან იქნება თუ მათ გარეშე, მე ყოველთვის „ბარსას“ გამარჯვება მწყურია.

**— მომავალ პრიმერაზე როგორი წინათგრძნობა გაქვს?**

— შესანიშნავი! ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოვიგოთ. ახლა გუნდში დიდი ცვლილებების ხანაა, იქნებ ბევრს არც მოსწონს ამნაირი დასაწყისი, მაგრამ მე ღრმად მჯერა, საბოლოოდ ყოველივე კარგად დასრულდება.

# პირველი ბრაზილიელი მანჩესტერში

## რონალდინიომ ოცნების გუნდი იპოვა და ლაპორტას ოცნება დაუნგრია




ძველი საბჭოური გამოთქმაა, მასთან ერთად დაზვერვაში არ წავალო. საფეხბურთო ენაზე რომ ვთარგმნოთ, ხუან ლაპორტაზე ნათქვამი გამოგვივა. ანუ, „ბარსელონას“ ახალ პრეზიდენტს დევიდ ბექემისა არ იყოს, რონალდინიოს ტრანსფერიც ჩაეშალა. გადაწყვეტილი ამბავია: ბრაზილიელი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადის.

გავიხსენოთ, რა იყო და, როგორ: ლაპორტამ წინასაარჩევნო კამპანია ბექემზე ააგო, აქაოდა, ოღონდ მე ამირჩიეთ და „იუნაიტედის“ დიდვარსკვლავს მეორე დღესვე ჩამოგიყვანთო. ხალხმა დაპირება დაიჯერა და პრეზიდენტად აირჩია, მეორე დღეს კი ბექემის ყიდვის თაობაზე „რეალმა“ განაცხადა.

ამის მერე არანაკლებ საინტერესო ვითარება შეიქმნა: ერთი მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბექემის შემცველი დასჭირდა, ხოლო მეორე მხრივ, ლაპორტას ამომრჩევლები ახალი დაპირებით უნდა დაეპურებინა.

ისე მოხდა, რომ ორივე გუნდმა „პარი სენ ჟერმენისკენ“ გაიხედა, სადაც რონალდინიო ოფიციალურად დღესაც თამაშობს. ისე, მთლად დამთხვევა არ უნდა იყოს — მოგეხსენებათ, რონალდინიოს ყიდვა „რეალსაც“ სურდა და ეგებ ლაპორტამ სწორედ ამიტომაც დაადგა თვალი ბრაზილიელს.

მაგრამ ნუ ვიმარჩიელებთ, ფაქტი ისაა, რომ „მანჩესტერმა“ პსჟ-ს და თავად რონალდინიოს იმდენი ფული შესთავაზა, რამდენსაც „ბარსელონას“ სალარო ვერ გასწვდებოდა.

ინგლისელები ფრანგებს ფეხბურთელში 19,3 მილიონ გირვანქას უხდიან, რომლიდანაც 15 მილიონს კონტრაქტზე ხელს მოწერისთანავე მისცემენ, დანარჩენს კი ნელნელა გადაურიცხავენ. რონალდინიოს ხელფასზე ზუსტი ცნობა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტის, სანდრო როსელის თქმით, „ბარსაში“ ბრაზილიელს გაცილებით ნაკლები ჯამაგირი ექნებოდა.

ფაქტობრივად გასარკვევი ისღა რჩება, როდის გაფორმდება რონალდინიოს ინგლისში გადასვლა. „იუნაიტედი“ ამ კვირაში ამერიკულ ტურნეში მიემგზავრება და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რონალდინიოსაც იახლებს. კლუბის თავმჯდომარის, პიტერ კინიონის თქმით, „იუნაიტედის“ გულშემატკივრებს „საინტერესო ცნობების კვირა“ ელით.

— შესათანხმებელი უმნიშვნელო ტექნიკური დეტალებიღა დაგვრჩა და ღრმად ვარ დარწმუნებული, ყველაფერი ამერიკაში გამგზავრებამდე მოესწრება — თქვა კინიონმა.

თავად რონალდინიოს კომენტარი კი ასეთია: „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა ველარაფერზე ვფიქრობ. ეს სწორედ ის გუნდია, სადაც თამაშზე ვოცნებობდი და მზად ვარ, დაუყოვნებლივ გადავიდე. ძალიან მეამაყება, რომ „იუნაიტედში“ მოთამაშე პირველი ბრაზილიელი ვიქნები“.

ერთი სიტყვით, ყველაფერი უახლოესი საათების თუ არა, დღეების ამბავია ამერიკულ ტურნეზე კი მოგახსენებთ, რომ იქ „იუნაიტედი“ 16 დღეს დაჰყოფს, ლოს ანჯელესს, ნიუ იორკსა და ფილადელფიას ესტუმრება, ხოლო მისი მეტოქეები „სელტიკი“, მექსიკური „ამერიკა“, „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“ იქნებიან.

**გიორგი დარჯანია**

# ნატვრის მცველი

## ბლექბერნს სწორედ ამორუზო უნდოდა

იტალიელი მცველი ლორენცო ამორუზო „რეინჯერსიდან“ რომ წავიდა, ძველი ამბავია და კარგადაც მოგეხსენებათ — თუნდაც იმის გამო, რომ გლაზგოელებმა მის ნაცვლად ზურაბ ხიზანიშვილს უხმეს. ახალი ამბავი კი ის გახლავთ, რომ ამორუზომ ინგლისურ „ბლექბერნ როვერსში“ ამოჰყო თავი.

32 წლის იტალიელი ბლექბერნელებს 1,4 მილიონი გირვანქა დაუჯდათ და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„ლორენცო ის ფეხბურთელია, რომელსაც ჩვენი მენეჯერი გრემ სუნესი დიდი ხანია ეძებდა“ — თქვა ნატრანსფერევს კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ უილიამსმა.

უინტერესო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ამორუზო „რეინჯერსში“ 1997 წელს „ფიორენტინადან“ გადავიდა და სქოთურ კლუბში 200-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. ისიც გავიხსენოთ, რომ ამორუზომდე „ბლექბერნმა“ ავსტრალიელი ბრეტ ემერტონი იყიდა, ხოლო თავისი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი დამიენ დაფი შესაძლოა, „ჩელსიმ“ ან „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წაართვას. დაფის კონტრაქტის თანახმად, მისი გამოსასყიდი თანხა 17 მილიონი გირვანქაა და უილიამსმაც თქვა, თუ ვინმე გადამხდელი გამოჩნდა, ჩვენ განზე გავდგებით და თავად ფეხბურთელს მივცემთ არჩევანის გაკეთების უფლებასო.

**ირაკლი ნინიძე**




# არისტოკრატულ ბაზარზე ვერონი ჩამოფასდა

„ლაციოდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის მერე ხუან სებასტიან ვერონისგან სერ ალექს ფერგიუსონი და „ოლდ ტრეფორდის“ ფანობა რაღაცას ელოდა. მაგრამ ეს რაღაც, ანუ არგენტინელის ბრწყინვალე თამაში მაინც ვერ ნახა. ვერონს თავიდან თითქოს გაუჭირდა ახალ გუნდთან შერწყმა და თქვეს, დრო უმკურნალებსო, თუმცა ისე მაინც ვერ გაილაღა, როგორც „ლაციოში“ იყო.

წინა სეზონში მის გაყიდვაზე ალაპარაკდნენ. კვლავ იტალიაში დაბრუნების ვარიანტიც გაჩნდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი ერთხანს უარობდა. ახლა კი მანჩესტერელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, ვერონი ბექემივით გაყიდონ ოღონდ არა მადრიდში, არამედ ინგლისშივე. ხოლო თუ რომელ გუნდში, თავადაც მიხვდებით — ეს კლუბი, რა თქმა უნდა, „ჩელსია“.

რომან აბრამოვიჩის მსტოვრები მანჩესტერელებს უკვე გაურიგდნენ და 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს გადაუხდიან. ასეთ ფასად ვერონის დონის ფეხბურთელის მოხელთება კი ურიგო საქმე ნამდვილად არ არის.

თავად მანჩესტერელებმა არგენტინელი 28 მილიონ ევროდ შეიძინეს.

„მანჩესტერში“ სხვა ამბებიცაა. ალექს ფერგიუსონს ფაბიენ ბარტეზის შემცვლელი ოკეანის გაღმა უნახავს. აშშ-ს ნაკრების მეკარე, 24 წლის ტიმ ჰოვარდი უკვე მანჩესტერშია და სამედიცინო შემოწმების შემდეგ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. ჰოვარდი ინგლისელებს მილიონ 200 ათასი ევრო დაუჯდათ.

დევიდ ბექემობა ფერგიუსონმა „ბეტისის“ მარჯვენაფლანგელ ხოაკინს შესთავაზა. მენეჯერის ძმა, მარტინ ფერგიუსონი ადრეც რამდენჯერმე ჩასულა სევილიაში ესპანელის დასაზვერად. ხოაკინის სანაცვლოდ „ბეტისის“ პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერას 17 მილიონი ევრო და ზედ ურუგვაელი დიეგო ფორლანი შესთავაზეს.

**გაგა ხუციშვილი**

# რომანი ბესტსელერი

## ინგლისშიც, როგორც საქართველოში: მოვიდა მილიონერი და იყიდა



რომან აბრამოვიჩი

გახსოვთ ტიმ ფლაუერსი? ის 90-იან წლებში ინგლისის ნაკრებისა და „ბლექბერნ როვერსის“ კარს იცავდა, დღეს კი „ლესტერში“ მწვრთნელად მუშაობს. ფლაუერსი 1995 წელს „ბლექბერნის“ შემადგენლობაში პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა. შეგახსენებთ, რომ ის „ბლექბერნი“ პრემიერლიგაში სულ რაღაც სამი წლის აღზევებული იყო, მაგრამ გაუმართლა, მაშინდელმა თავმჯდომარემ, ჯეკ უოკერმა 60 მილიონი გირვანქა დახარჯა და საოცარი ეფექტი მიიღო. დღეს ფლაუერსი უოქერის დროის „ბლექბერნს“ იგონებს და დღევანდელ „ჩელსიზე“ ფიქრობს, რომელიც რუსმა ოლიგარქმა, რომან აბრამოვიჩმა იყიდა.

— იმის დასტური, რომ წარმატების ყიდვა შეიძლება, მადრიდის „რეალი“ გახლავთ. მადრიდელებმა დევიდ ბექემის, ზინედინ ზიდანის, რონალდოს და ლუიშ ფიგუს შესაძენად სხვებზე დიდი ფული გაიმეტეს. შედეგიც ასეთი აქვთ: ბოლო ოთხ სეზონში ორი ჩემპიონთა თასი. ჩვენს დროს ჯეკ უოკერმაც მილიონები დახარჯა, 3,6 მილიონი შირერში გადაიხადა, შემდეგ 5 მილიონი კრის სატონში, იმხანად ეს თანხები წარმოუდგენლად დიდი იყო და ჩვენ ჩემპიონები გავხდით. დღეს ახალი პატრონი „ჩელსის“ გამოუჩნდა. ეს პატრონი ფულის დახარჯვას ეშურება და, ცხადია, ჩემპიონობაც შეუძლია. „ჩელსი“ ისედაც კარგი გუნდია და თუ ამორჩეულ ფეხბურთელებსაც დაიმატებს, ჩათვალეთ, რომ ტიტულის პრეტენდენტია.

შეგახსენებთ, რომ კენ ბეიტსისგან ლონდონური კლუბის 140 მილიონად ყიდვის შემდეგ სულ რაღაც ერთ კვირაში რუსმა მილიარდერმა 50 მილიონი ფეხბურთელების საყიდლად გამოჰყო.

სულ ბოლო ნაბიჯი აბრამოვიჩს „მანჩესტერისკენ“ ჰქონდა გადადგმული — 14 მილიონად ხუან ვერონის ყიდვა ისურვა, მანამდე კი 12,5 ჯერემისა და გლენ ჯონსონის გადაბირებაში დახარჯა. ამბობენ, კიდევ 17 მილიონი „ბლექბერნისგან“ დემიენ დაფის ყიდვაში წავაო.

ჯეკ უოკერმა „ბლექბერნში“ დახარჯული ფულით გუნდი 81-წლიან ისტორიაში პირველად აიყვანა ინგლისური ფეხბურთის მწვერვალზე, აბრამოვიჩის „ჩელსი“ კი ქვეყნის ჩემპიონი 48 წლის წინ იყო.

ტონი გეილი, მაშინდელი „ბლექბერნის“ ცენტრალური მცველი:

„უოქერმა დიდი ხარჯით და ვეება ხელფასებით ბუმი გამოიწვია, მაგრამ მისმა მეთოდმა გაამართლა კიდეც. ახლა „ჩელსი“ დგას იმავე გზაზე. ფინანსები წარმატებისთვის ყველაფერია. სანამ ფეხბურთელებს სწორად არჩევ, ფულს არ ინანებ და კლუბში სწორ ბალანსს ინარჩუნებ, დიდ შედეგს მოიმკი. ჩვენთან კენი დალგლიში და რეი ჰერფორდი ფეხბურთელებს კარგად ხელმძღვანელობდნენ და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდნენ“.

ახლა „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარეს, ფრედი შეფერდს მოვუსმინოთ. მან ჯამში 200 მილიონი გირვანქა უკვე დაახარჯა კლუბს, მაგრამ ინგლისის ჩემპიონები კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ ხდებიან.

„აბრამოვიჩი უბანში ახალი მაგარი ბიჭივით კი მოვიდა ინგლისურ ფეხბურთში, მაგრამ სულ მალე ნახავს, რომ ფული წარმატების გარანტია არ არის. ეს გზა ჩვენ უკვე გავიარეთ და დავრწმუნდით, რომ ფეხბურთელების ძვირად ყიდვა ჯილდოებს დაბეჯითებით ვერ მოგვიტანს. სხვათა შორის, ჩვენც იგივე მიზნები გვქონდა, რაც აბრამოვიჩს: ჩემპიონობა და რაც შეიძლება მალე! ფულიც იყო, სიძუნწეს ხელი არაფერში შეუშლია, უბრალოდ, ყველაზე დიდი, რაც შევძელით, ზედიზედ ორჯერ მეორე ადგილზე გასვლა იყო“.

„ჩელსის“ მადა კი მართლაც ძალიან დიდია, თუმცა მწვრთნელზე...

მოვუსმინოთ ლონდონელთა კლუბის აღმასრულებელ დირექტორს ტრევორ ბირჩს: „ტყუილია, რომ ინგლისის ნაკრებისთვის სვენ გორან ერიქსონის წართმევა გვინდა. ჩვენი მწვრთნელი კლაუდიო რანიერია, რომელსაც კონტრაქტის თანახმად ოთხი წელიწადი დარჩა“.

**ბაჩუნა ძიძია**

# მგონი, სიდედრი მართალია
## ჯორჯ ბესტს გიჟის ხალათი სჭირდება




პოლიციელთაგან გაშვებული ჯორჯ ბესტი მეუღლე ალექსს ისევ პაბში დაემალა

**ლონდონის** სამხრეთით, 30 კილომეტრში, უოლტონ ონ ზი ჰილში არის სასტუმრო, რომელსაც ჰქვია „ჩეკერს ოტელი" ჰქვია და რომლის ბარშიც, შაბათ საღამოს, ორი მამაკაცი — ერთი 57, ხოლო მეორე 31 წლისა — გამომთვრალა. კერძოდ რა და როგორ იყო, ჯერ ზუსტად ვერ დაადგინეს, მაგრამ ამბობენ, მთვრალი მამაკაცები ერთმანეთზე იწევდნენო. ერთი სიტყვით, საქმეში პოლიცია ჩარეულა, ორივენი თუ ერთ-ერთი მათგანი, რეიგეიტის განყოფილებაში მიუყვანიათ და ცოტა ხანში ყოველგვარი საქმის აღძვრის გარეშე გამოუშვიათ.

შეგახსენებთ, ეს შაბათ საღამოს ამბავია.

კვირა დილით გამოსულ „ნიუს ოფ ზი უორლდში" კი ეწერა, რომ 57 წლის კაცს გაწევ-გამოწევა ამ გაზეთის ფოტორეპორტიორთან მოუვიდა. თუ ასე იყო, უფრო გასაგებია: 57 წლის კაცი, ალბათ, დათვრა, ფოტორეპორტიორმა ამ დროს აპარატი დააჩხაკუნა და დავიდარაბაც ამას მოჰყვებოდა. თან, გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული გახლდათ ფოტო, სადაც ჩანს, რომ კაცი პოლიციელებს მიჰყავთ.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, ის, უცნობი, 31 წლის კაცი, 57 წლის კაცს ფოტორეპორტიორთან ჩხუბში ეხმარებოდა.

ამგვარად, გნებავთ ასე მომხდარიყო და გნებავთ ისე, ნათელია, რომ 57 წლის კაცმა დალია და მთელ ამ ისტორიაში მთავარი სწორედ ეგ არის, რადგან იგი „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული გარემარბი, ირლანდიელი ჯორჯ ბესტი გახლავთ თავისი გადანერგილი ღვიძლით.

ბესტის დაშლილი ღვიძლი დაღუპული დონორის ჯანმრთელი ორგანოთი პროფესორმა როჯერ უილიამსმა ერთი წლის წინ, 60 ათას გირვანქად შეცვალა. დღეს, პროფესორი ასე ბრძანებს:

„ნებისმიერი სახის დაბრუნება სასმელთან და ჯორჯი, ჩათვალეთ, ისევ პაციენტია. სირცხვილია კლავ რომ გადასცდა გზას, გული გამიტეხა. საფასურიც კარგად მოეხსენება! არადა, აქამდე ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, ორი წელიწადია ერთ წვეთს არ გაჰკარებია. ისლა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ უცბად მოთოკავს თავს. მეც სხვა გზა არა მაქვს, ისევ უნდა დავეხმარო. სამწუხაროა, ერთი კვირის წინ რომ ვნახე, მხოლოდ წყალს ეკარებოდა და კარგად იყო".

რაც შეეხება კაპსულებს, რომლებიც ჩვენშიც ფრიად პოპულარულია, პროფესორი უილიამსის თქმით, ისინი გარანტიას არ იძლევიან.

ერთი სიტყვით, ბესტი კვლავ დათვრა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შაბათ საღამოს რეიგეიტის პოლიციის განყოფილებაში ამოჰყო თავი, სადაც მეუღლემ, 31 წლის ალექსმა მიაკითხა.

ოჯახის მეგობარი (რომელიც, ალბათ, ალექსს მიჰყვა განყოფილებაში): „ალექსი ცრემლებად იღვრებოდა, ყველა ღონეს ხმარობდა რათა ჯორჯი შინ წაეყვანა, მაგრამ ხედავდა, რომ ვითარება აბსოლუტურად უკონტროლო იყო. ამდენი ამაგის შემდეგ ვერ წარმოიდგენდა, რომ სასმელი ისევ წამოჰყოფდა თავს. ვერაფერს რომ გახდა, იძულებული შეიქნა ჯორჯი პოლიციის ერთ-ერთ მანქანაში დაეტოვებინა, თავად კი იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ჯორჯი შინ არ დაბრუნდა, თურმე მძღოლს უყვიროდა, ისევ პაბში მიმიყვანეთო".

შემდეგ კი გაირკვა, რომ ლეგენდა კვირასაც დასალევად წასულა, თან ისევ იმ ბარში. ამასთან, თვითმხილველები ამბობენ, რომ ბესტი ხელებს მუცელზე იტყაპუნებდა და აცხადებდა:

„ამბობენ რომ ვსვამ. როგორ დავლევ, თუ დავლიე ხომ მოვკვდები. აქ, მუცელში ახალი ღვიძლი მაქვს".

„ახალი ღვიძლების" ექსპერტი, ექიმი იაინ მიურეი:

„ღვიძლები იოლად როდი იშოვება. ხალხი კვდება, რადგან შესაფერისის შოვნას ვერ ახერხებს. თუ ბესტი ლოთობას დაუბრუნდება, ძალიან საეჭვოა, ვინემ კიდევ ერთი ღვიძლი შესთავაზოს".

ბესტის სიდედრი ჩურილ პარკი:

„ჯორჯი ისე სულელურად მოიქცა... წინა ორშაბათს დაიკარგა, პარიკმახერთან მივდივარო და დასალევად წასულა. ალექსი კინაღამ შეიშალა. ახლა ოჯახი ველარ დაეხმარება, სპეცპიჟამოს ჩამოცმა და საავადმყოფოში გაქანება სჭირდება. ჯორჯმა ალექსთან საუბარი და შინ დაბრუნება არ ისურვა, ალბათ იცის, რომ უსიამოვნო დახვედრა ელის. ალექსს კი ვერავინ უსაყვედურებს, რადგან ბოლო დროს ჯორჯი ჩინებული შესახედავი იყო. ვინ იცის, იმდენად კარგად გრძნობდა თავს, რომ იფიქრა, ერთს გადავკრავ, რას დამიშავებსო, მაგრამ ჯორჯის საქმე ასეა: ერთი თუ ილოთა, სამუდამოდ ლოთად დარჩება".

საინტერესოა, რომ გაზეთმა „სანმა" ავბედითი სასტუმროს, „ჩეკერსის" წინ საგანგებო ლოზუნგი თუ სტენდი დადგა: „ჯორჯ, შინ წადი!"

ჯორჯის მეგობარი და აგენტი, ფილ ჰიუზი:

„ალექსმა მითხრა, რომ ნებისმიერ პაბს ბესტისთვის სასმელის მიყიდვაზე უარი უნდა ეთქვა. მართლაც, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველა, ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ასეთ დროს ალკოჰოლს არ გაჰყიდის. ჩვენ ვერ ვხვდებით, რატომ დაიწყო ყველაფერი თავიდან, ჯორჯი ხომ საუცხოოდ იყო და ყოველი მხრიდან გრძნობდა, რომ საჭირო კაცი გახლდათ".

„ჩეკერსის" პატრონი კივი მარკ ნოპლ-კემპბელი:

„ასეთი რეკლამა... ალბათ მთელი დედამიწის საფასური ეღირებოდა".

**პაპუნა ძედია**





„ჩეკერს ოტელი" უეცრად უპოპულარულეს ადგილად იქცა, „სანმა" კი ბესტის იქიდან გამოტყუება ამ პლაკატით სცადა



ჯო კოული

# ცხოვრება ინგლისშიც ძვირს
## ვესტ ჰემს რაც გაეყიდებოდა, გაყიდა

**ინგლისის** ნაკრების ფეხბურთელის, ჯო კოულის ხელში ჩასაგდებად „მილანი" და „ბარსელონა" ეცილებიან ერთმანეთს. ჩემპიონთა თასის მფლობელები კოულის გამზრდელ კლუბს, „ვესტ ჰემ იუნაიტედს" 7 მილიონ გირვანქას სთავაზობენ, კატალონიელთა შეთავაზებული თანხა უცნობია, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ლონდონელთა მენეჯერის გლენ როედერის მაგიდაზე ამ ორი კლუბის წერილები დევს.

„ვესტ ჰემს" ჯო კოულის გაყიდვა არ უნდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ცხოვრება მხოლოდ სურვილებზე არ არის აწყობილი, მით უფრო, როცა საქმეში ფული ერევა.

პრემიერლიგიდან გავარდნის მერე აპტონპარკელმა ფინანსისტებმა გამოთვალეს, რომ 2003-04 წლების სეზონში „ვესტ ჰემის" შემოსავალი 20 მილიონი გირვანქით ნაკლები იქნება, რის გამოც კლუბს ხელფასების გასტუმრება გაუჭირდება. ამასთან, კოული ახლავე თუ არ გაყიდეს, ერთი წლის მერე თავისუფალი აგენტი გახდება და მასში კაპიკსაც ველარ აიღებენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „ვესტ ჰემს" თავის ნიჭიერ ფეხბურთელთან გამოთხოვება მოუწევს.

ასევე შეგახსენებთ, რომ „ვესტ ჰემმა" უკვე გაყიდა გლენ ჯონსონი „ჩელსიში" 6 მილიონად და ტრევორ სინკლერის „მიდლსბროში" 2 მილიონად გადასვლასაც ალარაფერი უკლია.

**ირაკლი ნინიძე**



ჩერნომორეცი — სპარტაკი. რომან პავლიუჩენკომ თავისი მეორე გოლი გაიტანა და კრისტიან ჩუისეს ზღვისპირელები ნოკაუტში ჩააგდო

# ვოლგა-დონური თემზაობა
## როსტოვში შვიდი გოლი დაიჭირეს

### რუსეთი

**პრემიერლიგა. XVI ტური**

**ტორპედო-მეტალურგი 1:1 ურალანი**

1:0 მონარიოვი (3), 1:1 პასონი (21)

ტორპედო-მეტალურგი: ნოვოსადოვი, ორლოვი, რიზვიჩი, ბელეცკი, ლეონოვი, ოვსეპიანი, შუსტიკოვი, რეხვიაშვილი (კომადინა 49), კოლესნიჩენკო, მონარიოვი, მოვსესიანი (ოგანიანი 70)

ურალანი: ფილიმონოვი, კოლოდინი, ცალაგოვი, დალ კანტო, გერაშჩენკო, ლოპესი, აჯინჯალი, პასონი, ვრანიეში, წიკლაური (ვ. ბიბილაძე 10), სემოჩკო

გაფრთხილება: დალ კანტო, სემოჩკო, რეხვიაშვილი, ცალაგოვი, მოვსესიანი, ვრანიეში, კომადინა

**ლოკომოტივი 1:1 რუბინი**

1:0 ბუზნიკინი (52), 1:1 შარონოვი (90)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, პაშინინი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, ნიჟეგოროდოვი, ლოსკოვი, სირხაევი (დროზდოვი 80), იზმაილოვი, მამინოვი, ჟული ხეზარი (ასათიანი 58), ბუზნიკინი

რუბინი: კოზკო, სილაგაძე, ხინევი, ნოვოტნი, შარონოვი, ხარლამოვი, ფიოდოროვი (კალიხტო 75), ჩიჟეკი, ბოიარინცევი, რონი, სიბაია

გაფრთხილება: ხარლამოვი, სილაგაძე, სირხაევი, ობრადოვიჩი

**სატურნი 0:1 დინამო**

0:1 კორომანი (34)

**კრილია სოვეტოვი 4:2 ტორპედო**

1:0 ტიხონოვი (5), 2:0 ბოშკუსი (28), 3:0 ლეილტონი (49), 3:1 შირკო (61), 3:2 ლეონჩენკო (66პ), 4:2 ბობერი (90)

**ჩერნომორეცი 2:3 სპარტაკი**

1:0 კამოლცევი (19), 1:1 პავლიუჩენკო (23), 1:2 ტიტოვი (37), 1:3 პავლიუჩენკო (40), 2:3 გორდიუკი (90)

**როსტოვი 4:3 როტორი**

1:0 მასლოვი (37), 1:1 ალდონინი (50), 2:1 ოსინოვი (60), 3:1 ადამოვი (86), 3:2 ზუბკო (88), 4:2 ადამოვი (89), 4:3 ესიპოვი (90)

**სპარტაკ-ალანია 0:1 შინიკი**

0:1 კულჩი (14)

სპარტაკ-ალანია: გაბულოვი, ბრაბეცი, აგაევი, პაგაევი, გრიგორე, ბარანოვი, ბარასა (მინდიაშვილი 72), ბაზაევი, ვარზიევი, ბიტაროვი (დოგუზოვი 74), მიხოლაპსი (ალგოროვი 46)

**ცსკა 2:2 ზენიტი**

0:1 კერჟაკოვი (13), 1:1 პოპოვი (32), 1:2 სპივაკი (70), 2:2 გენრიხი (78)

**ჩემპიონატი** ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა. გუნდებს თამაში ისე მოსწყურებიათ, რომ ერთმანეთის კარები გულიანად ამოავსეს. ბარაქიან ტურში ოცდარვა გოლი გავიდა. მათგან თითქმის ნახევარი კი ორ მატჩში, რომელთაგანაც როსტოვული უფრო გამოსარჩევია.

დონისპირელებს ვოლგისპირელები ათი წლის მანძილზე შინ ვერ დაემარცხებინათ. შეხვედრა მძაფრსიუჟეტიანი გამოდგა და როსტოველებმა ნავსი გატეხეს.

ტაიმის მიწურულს მასლოვის გოლით მასპინძლები დაწინაურდნენ, მაყურებლები კი დამხვდურთა ლეგიონერის, ჰენდრიკსის მოქნეული ფეხით გახალისდნენ, როცა მისი დარტყმული ბურთი სტადიონს მიღმა გაუჩინარდა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ალდონინის გოლით გაქვითეს, თუმცა ოსინოვმა დონისპირელები მალევე ისევ დააწინაურა. აი, ის გულშემატკივრები, მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე რომ წავიდნენ, აქ გოლი აღარ გავაო, მწარედ შეცდნენ.

დარჩენილ დროში ოთხი გოლი გავიდა, ფეხბურთი კი მაგიდის ჩოგბურთს დაემსგავსა. როსტოველმა ადამოვმა სამ წუთში დუბლი მიითვალა, რაზეც „როტორის" მოთამაშეებმა ასევე ორით უპასუხეს და შეხვედრაც დამთავრდა.

მეორე გოლუხვი მატჩი სამარაში გაიმართა. „კრილია სოვეტოვი" თუ ხასიათზეა, შინ სამზე ნაკლებს არ იტანს. ამჯერადაც ასე იყო. მეორე ნახევრის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში სამარელები უკვე სოლიდური სხვაობით იგებდნენ.

მოსკოვის „ტორპედომ" მეტოქეს უდროოდ დამშვიდება დაატყო და ორი გოლი გაქვითა. ჯერ შირკომ შეამცირა სხვაობა, მერე კი ლეონჩენკომ თერთმეტმეტრიანი გამოიყენა.

მასპინძლები ანერვიულდნენ. მოსკოველები გასათანაბრებლად და ქულის წასაღებად მოწინააღმდეგეს ეკვეთნენ, მაგრამ ბობერმა მათი მონდომება ბოლო წუთზე გატანილი მეოთხე გოლით გაანელა.

ზედიზედ მეცხრედ წააგო „სპარტაკ-ალანიამ". ვლადიკავკაზში გამარჯვება უკვე იაროსლაველის „შინიკსაც" აღარ უჭირს. ალანიელთა ახალი მწვრთნელის, ბახვა თედეევის თქმით, გუნდში ოხრად პრობლემებია დ ბიჭებს უპირველესად ფსიქოლოგიური გაჯანსაღება სჭირდებათ.

ერთადერთი გოლი მასპინძელთა მეკარის, გაბულოვის შეცდომას მოჰყვა. იგი კარიდან უაზროდ გამოვიდა და კულჩის ოცი მეტრიდან მეკარის ზურგსუკან ბურთის ჩაშვება არ გასჭირვებია.

„სპარტაკის" მწვრთნელად ანდრეი ჩერნიშოვის მისვლის მერე „სახალხო გუნდის" თამაში ოდნავ გაუმჯობესდა. სპარტაკელებმა მცირე საზაფხულო შესვენებისას რამდენიმე ახალი მოთამაშეც დაიმატეს და მოღონიერდნენ.

ერთ დროს მოსკოვური კლუბების რისხვა „ჩერნომორეცი" კი წლეულს პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. „სპარტაკმა" მეტოქეს საქმე შესვენებამდე მოუთავა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, ჩვიდმეტწუთიან მონაკვეთში გატანილმა სამმა გოლმა ზღვისპირელები მოაშთო. პავლიუჩენკოს დუბლი და კვლავ კარგად ათამაშებული ტიტოვის წყალობით დედაქალაქელები შინ სამი ქულით დაბრუნდნენ.

მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა მატჩის დაწყებიდან ოც წუთში ყაზანელთა კარში 9-ჯერ დაარტყეს, მაგრამ „რუბინის" მეკარე კოზკო სასწაულებრივ იგერიებდა.

მეორე ტაიმში სტუმრებს მეკარემაც ვეღარ უშველა, რადგან მცველებს ჩასთვლიმათ და ბუზნიკინს გატანა არ გასჭირვებია. „ლოკომოტივმა" დასვენება და მეტოქის მოგერიება გადაწყვიტა. ეს საქმე მატჩის მიწურულამდე კარგადაც გამოსდიოდა, მაგრამ „რუბინის" ბოლო კუთხური შედეგიანი გამოდგა. მასპინძელ მცველთა უმეტესობა ყაზანელთა ჩეხი ლეგიონერის, ირჟი ნოვოტნის „ჩასაკეტად" დაშვრა, რითაც ოდესღაც იური სიომინისგან დაწუნებულმა შარონოვმა ისარგებლა და ფრე გამოკვერა.

ვალერი გაზაევის ცსკა-მ ზაფხულში სვლას აშკარად უკლო. პირველ წრეში, სანკტ პეტერბურგში დიდი სხვაობით დამარცხების შემდეგ არმიელებს „ზენიტისთვის" ცხვირის დანაყვა ეწადათ და ეს თითქმის მოახერხეს. საყაიმო ანგარიში იყო, გენრიხი სტუმართა საჯარიმოში რომ წაიქცა. მსაჯმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. მოსკოველები შეედავნენ. ნევისპირელებიც აქოთქოთდნენ და ატყდა აყალმაყალი, რომელიც მუშტი-კრივში არ გადასულა, მაგრამ მუჯლუგუნებით კი დასრულდა. გენრიხმა წაქცევიდან სამ წუთში გოლი თამაშიდან მაინც გაიტანა და ცსკა-ს ქულა მოუტანა.

არმიელთა წაფორხილებით რამენსკოეს „სატურნმა" ვერ ისარგებლა. მოსკოვის „დინამოს" დამარცხების შემთხვევაში პირველადგილოსანს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში კორომანის გოლს ვერაფრით უპასუხეს და მეორე ადგილი დინამოელებს დაუთმეს.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:18 | 34 |
| დინამო | 16 | 8 | 4 | 4 | 29:17 | 28 |
| სატურნი | 16 | 7 | 6 | 3 | 22:14 | 27 |
| შინიკი | 16 | 6 | 8 | 2 | 22:14 | 26 |
| ზენიტი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:20 | 25 |
| კრილია | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| რუბინი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| როსტოვი | 16 | 6 | 6 | 4 | 19:23 | 24 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:21 | 22 |
| ტორპედო | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| სპარტაკი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | 19 |
| ჩერნომორეცი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:22 | 18 |
| როტორი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:24 | 16 |
| ურალანი | 16 | 3 | 6 | 7 | 10:21 | 15 |
| ალანია | 16 | 4 | 0 | 12 | 9:29 | 12 |
| ტ. მეტალურგი | 16 | 2 | 5 | 9 | 12:18 | 11 |

# ინტერტოტოს თასი

**II ეტაპი. საპასუხო მატჩები**

შემროკ როვერსი (ირლანდია) 0:2 *ლიბერეცი (ჩეხეთი)* (0:2)
სუტიესკა (სერბეთი) 0:1 *ტამპერე (ფინეთი)* (0:0)
*ალიანსი (ფინეთი)* 0:0 აკრატიტოსი (საბერძნეთი) (1:0)
*ტობოლი (ყაზახეთი)* 1:0 სენტ ტრუიდენი (ბელგია) (2:0)
ოფკ (სერბეთი) 3:3 *სინოტი (ჩეხეთი)* (0:1)
დიორ ეტო (უნგრეთი) 2:1 *რასინგი (ესპანეთი)* (0:1)
*ნიცა (საფრანგეთი)* 2:1 იორგრიტე (შვედეთი) (2:3)
*პაშინგი (ავსტრია)* 2:1 პობედა (მაკედონია) (1:1)
*ციბალია (ხორვატია)* 4:2 შახტიორი (ბელარუსი) (1:1)
*ვოლფსბურგი (გერმანია)* 2:0 მარეკი (ბულგარეთი) (1:1)
პარტიზანი (ალბანეთი) 0:3 *დაჩია (მოლდოვა)* (0:2)
დუბნიცა (სლოვაკეთი) 3:2 *კოპერი (სლოვენია)* (0:1)
*ბრნო (ჩეხეთი)* 1:1 თუნი (შვეიცარია) (3:2)
*ლიერსი (ბელგია)* 5:1 სლობოდა (ბოსნია) (0:1)
*ვილი (შვეიცარია)* 3:1 ტილბურგი (ჰოლანდია) (1:2)
გლორია (რუმინეთი) 1:1 *ბრეშა (იტალია)* (1:2)

**III ეტაპის წილისყრა**

ტობოლი (ყაზახეთი) — პაშინგი (ავსტრია)
პერუჯა (იტალია) — ალიანსი (ფინეთი)
ეგალეო (საბერძნეთი) — კოპერი (სლოვენია)
ნანტი (საფრანგეთი) — ვილი (შვეიცარია)
ნიცა (საფრანგეთი) — ვერდერი (გერმანია)
ვილიარეალი (ესპანეთი) — ბრეშა (იტალია)
გენგამი (საფრანგეთი) — ბრნო (ჩეხეთი)
დაჩია (მოლდოვა) — შალკე (გერმანია)
რასინგი (ესპანეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
სინოტი (ჩეხეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია)
ტამპერე (ფინეთი) — ციბალია (ხორვატია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ლიერსი (ბელგია)

*პირველი მატჩები 19-20 ივლისს, საპასუხო 26 ივლისს*

### შვედეთი

მე-14 ტური: იორებრო — ლანდსკრონა 0:0; იოსტერი — ჰალმსტადი 0:3; სუნდსვალი — ენკიოპინგი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 13 | 8 | 1 | 4 | 28:12 | 25 |
| ჰამარბი | 13 | 7 | 4 | 2 | 19:14 | 25 |
| მალმიო | 13 | 7 | 3 | 3 | 24:13 | 24 |
| აიკ | 13 | 7 | 3 | 3 | 22:13 | 24 |
| ჰალმსტადი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:18 | 23 |
| იორებრო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:18 | 22 |
| იორგრიტე | 13 | 6 | 2 | 5 | 20:20 | 20 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:21 | 18 |
| გიოტებორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:14 | 16 |
| ელფსბორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:21 | 16 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:18 | 15 |
| სუნდსვალი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:19 | 12 |
| ენკოპინგი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:28 | 9 |
| იოსტერი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:27 | 9 |

### ფინეთი

მე-12 ტური: კუოპიო — ალიანსი 0:0; ტამპერე — იოკერიტი 5:0; ჰიკ — ტურკუ 1:1; ჰაამენლინა — ჯაზი 1:3; ინტერი — მიუპა 1:0; კტპ — იარო 2:0; ლაჰტი — ჰაკა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 10 | 7 | 2 | 1 | 20:5 | 23 |
| ტამპერე | 11 | 7 | 1 | 3 | 19:9 | 22 |
| ჰიკ | 12 | 6 | 4 | 2 | 18:10 | 22 |
| ალიანსი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:11 | 21 |
| მიუპა | 11 | 6 | 2 | 3 | 17:7 | 20 |
| ჰამენლინა | 12 | 5 | 3 | 4 | 13:18 | 18 |
| ტურკუ | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 16 |
| ინტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:19 | 14 |
| იოკერიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:16 | 14 |
| ჯაზი | 12 | 4 | 1 | 7 | 15:25 | 13 |
| კტპ | 12 | 4 | 0 | 8 | 17:24 | 12 |
| ლაჰტი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:17 | 11 |
| იარო | 12 | 2 | 5 | 5 | 15:22 | 11 |
| კუოპიო | 12 | 2 | 2 | 8 | 13:30 | 8 |

### უკრაინა

1-ლი ტური: ობოლონი (კიევი) — ჩერნომორეცი (ოდესა) 1:0; დინამო (კიევი) — ვოლინი (ლუცკი) 5:1; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — შახტარი (დონეცკი) 0:3; ზვეზდა (კიროვოგრადი) — არსენალი (კიევი) 1:0; მეტალურგი (დონეცკი) — ვორსკლა (პოლტავა) 2:2; კარპატი (ლვოვი) — კრივბასი (კრივოი როგი) 4:1; ბორისფენი (ბორისპოლი) — დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) 0:2; ილიჩევეცი (მარიუპოლი) — ტავრია (სიმფეროპოლი) 1:1

### ავსტრია

**სუპერთასი**

**ავსტრია 2:1 კერნტენი**

1:0 კიცბიხლერი (6), 1:1 მარიჩი (19), 2:1 ვაგნერი (77)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# კონკაკაფის ოქროს თასი 2003



კანადელთა მეკარე ლარს ჰირსფელდმა კოსტარიკელი ალექსანდრ კასტროს ეს დარტყმა მოიგერია

**A ჯგუფი. I ტური**

**მექსიკა 1:0 ბრაზილია**

1:0 ბორგეტი (80)

*ჰონდურასი ისვენებს*

**C ჯგუფი. I ტური**

**აშშ 2:0 სალვადორი**

1:0 ლუისი (28), 2:0 მაკბრაიდი (76)

*მარტინიკა ისვენებს*

**B ჯგუფი. I ტური**

**იამაიკა 0:1 კოლუმბია**

0:1 პატინო (41)

*გვატემალა ისვენებს*

**D ჯგუფი. I ტური**

**კოსტა რიკა 0:1 კანადა**

0:1 სტალტერი (59)

*კუბა ისვენებს*

# აქ ეგეთები მოსულა



14 წლის წინ რობერტო როხასმა ცუდად იმსახიობა

## როხასის სია ფანდების ყველამ ზეპირად იცის

### ბრაზილია

XV-18 ტური: ატლ. პარანენსე — გოიასი 0:0; ფორტალეზა — ინტერნასიონალი 3:0; ვასკუ და გამა — პაისანდუ 0:2; ატლ. მინეირო — ფლამენგო 1:0; პონტე პრეტა — ბაია 1:0; კორინთიანსი — კურიტიბა 0:1; კრისიუმა — ჟუვენტუდე 3:0; ფიგეირენსე — პარანა 4:2; სან კაეტანო — გუარანი 0:2; ფლუმინენსე — სან პაულუ 1:3; გრემიო — კრუზეირო 0:1; ვიტორია — სანტოსი 2:0

14 წელი გავიდა და ძველი ჩილელი მეკარე რობერტო როხასი „მარაკანას“ დაუბრუნდა.

1989 წლის 3 სექტემბერს ჩილეს ნაკრები რიო დე ჟანეიროში იმ დროისთვის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ბრაზილიას ხვდებოდა. გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატზე გადიოდა.

ბრაზილია 1:0 იგებდა, როცა ვიღაც გულშემატკივარმა „მარაკანის“ ტრიბუნიდან მაშხალა ისროლა. მაშხალა რობერტო როხასის სიახლოვეს დავარდა, მაგრამ მეკარემ, აქაოდა, მაინც ვაგებთ და ეგებ რამე გვეშველოსო, თავში ხელი წაიშინა და მოედანზე ვითომ უგონოდ დაეცა. როხასი საკაცით გაიყვანეს, ჩილელებმა თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვეს და 70-ე წუთზე მატჩი შეწყდა.

საქმე ფიფამ გაარჩია და ჩილელებს რომ ეგონათ, ტექნიკურ გამარჯვებას ჩაგვითვლიან და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთო, პირიქით მოხდა, ფიფელთა მახვილ თვალს როხასის სიმულაცია არ გამოეპარა, ბრაზილიას მოგება ჩაუთვალეს, მუნდიალზე გაუშვეს, როხასს კი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

ეს ძველი ისტორია იმიტომ გავიხსენეთ, რომ რობერტო როხასი ერთი თვის წინ „სან პაულუს“ მწვრთნელი გახდა, საერთო ბრაზილიური ჩემპიონატის ამ ტურში „ფლუმინენსეს“ სტუმრობდა და თავისთვის ავადმოსაგონარ „მარკანაზე“ მოუხდა დაბრუნება.

ახლანდელი თამაში არაფრით ჰგავდა იმ ძველს. მაშინ ტრიბუნებზე 132 ათასი კაცი იჯდა, ახლა ათჯერ ნაკლები, მატჩი კი „სან პაულუმ“ 3:1 მოიგო.

„ფლუს“ კვლავაც აკლდა დაშავებული რომარიო და პირველ მატჩს ატარებდა ახალი მწვრთნელის, ჟილსონ ჟენიოს ხელქვეით, ვინაც რენატო შეცვალა. სხვათა შორის, ჩემპიონატი მარტში დაიწყო და 24 გუნდიდან 14-მა მწვრთნელის შეცვლა უკვე მოასწრო.

მატჩის გმირი კი სანპაულოელი ლუის ფაბიანო გახდა, რომელმაც დუბლი მიითვალა, ანტიგმირი კი მასპინძელთა ფორვარდი სორატო შეიქნა, რომელმაც ჯერ ერთი პენალტი გაიტანა, მერე კი ორი გააფუჭა. ისე, გმირობა იმ ორი პენალტის ამღებ მეკარე როჟერიო სენისაც ეკუთვნის.

ლიდერი კი ისევ „კრუზეიროა“, რომელმაც კოლუმბიელი ვიქტორ არისტისაბალის კინკილა გოლით მოუგო „გრემიოს“. ლიდერის მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ისევ კომენტატორის ჯიხურიდან უყურებდა თამაშს, რაკი 30-დღიანი დისკვალიფიკაციის ვადა ჯერ არ გასვლია. სასჯელი კი მან მსაჯთა შეურაცხყოფისთვის დაიმსახურა.

მარცხის მიუხედავად, მესამე ადგილზე დარჩა წინა ჩემპიონი „სანტოსი“, რომელსაც „ვიტორიასთან“ შეხვედრაში ოთხი ფეხბურთელი აკლდა — ისინი ბრაზილიის ნაკრებს კონკაკაფის ოქროს თასზე სათამაშოდ გაჰყვნენ.

### გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 18 | 11 | 4 | 3 | 36:20 | 37 |
| სან პაულუ | 18 | 10 | 5 | 3 | 36:27 | 35 |
| სანტოსი | 17 | 9 | 4 | 4 | 30:17 | 31 |
| კურიტიბა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:23 | 30 |
| კრისიუმა | 18 | 9 | 3 | 6 | 22:21 | 30 |
| ატლ. მინეირო | 18 | 8 | 6 | 4 | 30:22 | 30 |
| ინტერნასიონალი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 30 |
| სან კაეტანო | 18 | 6 | 8 | 4 | 18:18 | 26 |
| პარანა | 18 | 7 | 4 | 7 | 34:29 | 25 |
| ვიტორია | 18 | 7 | 4 | 7 | 22:28 | 25 |
| გუარანი | 18 | 7 | 3 | 8 | 29:28 | 24 |
| კორინთიანსი | 18 | 6 | 6 | 6 | 33:25 | 24 |
| ფიგეირენსე | 18 | 6 | 6 | 6 | 23:22 | 24 |
| ფლამენგო | 18 | 6 | 6 | 6 | 25:29 | 24 |
| ატლ. პარანენსე | 17 | 6 | 4 | 7 | 26:24 | 22 |
| პაისანდუ | 18 | 6 | 4 | 8 | 31:36 | 22 |
| ფლუმინენსე | 18 | 6 | 4 | 8 | 23:28 | 22 |
| ბაია | 18 | 6 | 4 | 8 | 22:27 | 22 |
| ვასკუ და გამა | 18 | 5 | 6 | 10 | 24:29 | 21 |
| პონტე პრეტა | 17 | 6 | 6 | 5 | 26:25 | 20 |
| გრემიო | 18 | 5 | 3 | 1 | 21:27 | 18 |
| ჟუვენტუდე | 18 | 3 | 6 | 9 | 17:34 | 18 |
| ფორტალეზა | 18 | 6 | 4 | 10 | 18:27 | 16 |
| გოიასი | 17 | 2 | 5 | 10 | 26:33 | 16 |

*შენიშვნა: „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 4 ქულა, „ინტერნასიონალს“ დამატებული აქვს ორი ქულა, „ჟუვენტუდეს“ დამატებული აქვს სამი ქულა. თანაბარქულიანობისას უპირატესობა მოგებათა რაოდენობას ენიჭება*

# თოფით ხელში მნახე, ვინა ვარ!

## არშემდგარმა მორაგბე ბატისტუტამ, ყატარი უნდა გავამწვანოო

*რახან ფიზიკურად ძალიან ძლიერი და სწრაფი იყო, გადაწყვიტა, მსოფლიოს რაგბის კოჰორტას შემატებოდა. ვარჯიშიც სერიოზულად დაიწყო და პატარ-პატარა წარმატებებიც უკვე ჰქონდა, მაგრამ... „რას აკეთებ, ეს ხომ სიგიჟეა?“ — შესძახა შეძრწუნებულმა ხორხე გრივამ, არგენტინული „ნიუელს ოლდ ბოისის“ ახალგაზრდული გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა და ჭაბუკი მორკინალი საფეხბურთო მინდვრისკენ მიახედა. ეს ამბავი წინა საუკუნის 80-იანი წლების შუახანს მოხდა. მას შემდეგ კი ბევრმა წყალმა თუ გოლმა ჩაიარა და ახლა ოდინდელი მორაგბე არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლეა. ის გაბრიელ ომარ ბატისტუტა, ანუ უბრალოდ „ბატიგოლია“. ქვემოთ კი ბატისტუტას და მისივე ძმაკაცის, სერხიო გოიკოეჩეას სალაღობო გასაუბრებას გთავაზობთ, რომელიც არგენტინულ „კლარინში“ ინტერვიუდ გამოქვეყნდა*



ცოლი: ბავშვებო, ამოდით წყლიდან. შენც, ომარ!

— **სამშობლოში ჩამოსულს რაღაც გეგმებიც გექნება. რას აპირებ, ზოგიერთი ვარსკვლავივით ყატარში წახვალ საბურთაოდ თუ მხარზე თოფს მოიგდებ და სანადიროდ პამპასებს მიაშურებ?**

— რა თქმა უნდა, სანადიროდ წავალ, შენ რა, ჩემი ჩუბინობის ამბავი არ გაგიგია? უკვე ყველა გაზეთმა დაწერა, რომ პისტოლეტი მაქვს და ნებისმიერ ბანდიტზე უფრო საშიში ვარ. და თუ სერიოზულად დაინტერესდი ჩემი მომავლით, გეტყვი, რომ ჯერ ფიზიკური ფორმის აღდგენაზე ვზრუნავ, მერე ვნახოთ, რა იქნება.

— **„რომასთან“ დაკავშირებით რა გადაწყვიტე?**

— კონტრაქტი 30 ივნისს დამთავრდა. გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ, ყველაფერს კარგად მოვიფიქრებ და კლუბის ხელმძღვანელობას მერე ვესტუმრები.

— **არგენტინაში არ გინდა ცხოვრება?**

— ჯერ არ ვიცი. აქ ძალიან არეული სიტუაციაა.

— **სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებ?**

— რაც არგენტინაში ხდება, ყველაფერი კარგად ვიცი. გული მტკივა პოლიტიკოსების უსუსურობისა და ვერაგობის გამო, ამით ხომ ყველაზე მეტად ხალხი ზარალდება. ისე, ძალიან მინდა აქ ჩამოსვლა, მთელი ჩემი სანათესაო არგენტინაში ცხოვრობს.

— **ახლა ცოტათი სერიოზულ საკითხზე ვისაუბროთ და კარგად დაფიქრდი, ვიდრე მიპასუხებ. ამ რამდენიმე ხნის წინ შეგვპირდი, ჩემი ბიჭებისგან ხუთკაციან გუნდს გავაკეთებო. 3 ბიჭი უკვე გყავს, შენი მეუღლე კი მეოთხეს ელოდება. დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვან, თუ გადაიფიქრე და გუნდის შექმნას აღარ აპირებ?**

— სულაც არ გადამიფიქრებია. ახლა ერთ მეკარესაც დავუმატებ და დანაპირებიც ასრულებული იქნება. აი, ასე, სენიორ!

— **გადასარევია. ისევ შენს კარიერას მივუბრუნდეთ. რატომღაც ბოლო პერიოდში დიდი ფეხბურთი ძველებურად აღარ გიტაცებს. ხომ არ გადაიღალე?**

— კი, მეგობარო, ამაში ნამდვილად მართალი ხარ — დიდი გაბრიელი უკვე საკმაოდ დაიღალა. ის კი არა, ხშირად ვფიქრობ, რომ ყველაფერზე უარი ვთქვა და ჩემი ცხოვრების არასაფეხბურთო ნაწილით დავტკბე. ბოლო ჟამს ფიზიკური კონდიციების აღდგენას სრულფასოვნად ვერ ვახერხებდი, რაშიც გადატვირთული იტალიური კალენდარი „მეხმარებოდა“.

— **ინგლისურ შეთავაზებებზე მართლა უარი თქვი?**

— ასე გამოდის. დავაზუსტებ — ინგლისში იქნება თუ სხვაგან, ისეთი გუნდი მჭირდება, სადაც მეტყვიან: „მობრძანდი ჩვენთან, პატივცემულო ვეტერანო, და ითამაშე იმდენი, რამდენიც შენს სულსა და გულს მოესურვება“. ჯერჯერობით ამნაირი მარგალიტი ვერ მიპოვია. შენ ხომ არ დამეხმარები?

— **ამ წუთიდანვე დავიწყებ შენი ოცნების გუნდის ძებნას და თუ ვიპოვე, მაშინვე შეგატყობინებ. „რომას“ უფროსობასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— კლუბის პრეზიდენტთან ადრე უთანხმოებები მქონდა, თუმცა რაც მოხდა, მოხდა და წარსულის ქექვას აღარ მოვყვები.

— **ყატარში თუ წახვალ, სტუმრად ხომ მიგვიღებ?**

— უდიდესი სიამოვნებით. ოღონდ იქ ჩამოსვლისას არგენტინული ველ-მინდვრებიც თან წამოიღეთ, ცოტა სიმწვანის დეფიციტი აქვთ და გაუხარდებათ.

— **ყატარულ ფეხბურთზე რაღას გვეტყვი?**

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს. ასე ახლოს იქაურობას ჯერ არ ვიცნობ.

— **წინა მუნდიალზე ფიასკო შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი მარცხი იყო?**

— დიახ. ასეთი რამ ადრეც განმიცდია, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ახლა რევანშის აღების საშუალება აღარ მრჩება და ყველაზე მეტად ეს მაწუხებს.

— **შენი ოჯახი თანახმაა ყატარში გამგზავრებაზე?**

— კი, რატომაც არა. თუ მე წავალ, ისინიც გამომყვებიან. ჩემი ოჯახის წევრები ყოველთვის ჩემს გვერდით იდგნენ.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I ტური** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 001 | გრაცერი-ალმირა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 002 | გრაცერი-ალმირა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 003 | კერნტენი-ავსტრია | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 22.30 | 004 | რაპიდი-პაშინგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 006 | ბაზელი-ციურიხი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 007 | ბაზელი-ციურიხი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 008 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 009 | გრასჰოპერი-ქსამაქსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 010 | სერვეტი-ვილი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 011 | სტ.გალენი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 22.30 | 012 | თუნი-აარაუ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 017 | ლოკომოტივი-ცსკა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **შვედეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 028 | აიკ-გიოტებორგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 029 | იორგრიტე-იერგორილენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 030 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.00 | 031 | მალმიო-ელფსბორგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 032 | მალმიო-ელფსბორგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ნორვეგია. XIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | მოლდე-სოგნდალი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 037 | ბოდიო გლიმტი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,5 | 3,2 | 1,27 | 1,23 | 1,67 |
| 21.00 | 038 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 039 | ბრიონი-ალესუნდი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 21.00 | 040 | ტრომსიო-რუსენბორგი | 6.0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 21.00 | 041 | ლილესტრიომი-ლინი | 2.15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 042 | ვოლერენგა-ბრანი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 043 | ჰაკა-ალიანსი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ფინეთი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 044 | კუოპიო-ტურკუ | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 20.30 | 045 | ტამპერე-მიკა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 046 | ჯაზი-ჰიკ | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| | | **გერმანია. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 23.30 | 053 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 23.30 | 054 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 056 | ბატე-ბოჰემიანსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 057 | დინამო(თბ)-ტირანა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.15 | 058 | პიუნიკი-რეიკიავიკი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.30 | 059 | სლიმა-სკონტო | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.00 | 060 | ომონია-ირტიში | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.00 | 061 | შერიფი-ფლორა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 062 | ვარდარი-ბარი თაუნი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.00 | 063 | გრევენმახერი-ლეოტარი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 23.00 | 064 | ტორსჰავენი-კაუნასი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.30 | 065 | გლენტორანი-ჰიკ | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 078 | მარსელი-სტანდარდი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.15 | 079 | კიოლნი-ლივერპული | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 01.10 | 080 | არგენტინა-ურუგვაი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **ოქროს თასი.** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 05.00 | 086 | გვატემალა-იამაიკა | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 07.00 | 087 | ბრაზილია-ჰონდურასი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ეჩ 19 წლამდე (ლიხტენშტაინში)** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 092 | ლიხტენშტაინი-პორტუგალია | 15,0 | 6,5 | 1,1 | 4,53 | 1,02 | 1 |
| 21.30 | 093 | ინგლისი-ავსტრია | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 21.30 | 094 | ნორვეგია-იტალია | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.00 | 095 | საფრანგეთი-ჩეხეთი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 19 ივლისი. (12.00)

| 4001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 4002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 2.5 | 4101 | 1,25 | 4201 | 1,12 | 2,5 |
| ბარიკელო | 12.0 | 4102 | 2.8 | 4202 | 1,3 | 8,0 |
| რაიკონენი | 5.6 | 4103 | 1,7 | 4203 | 1,25 | 4,4 |
| მონტოია | 4,0 | 4104 | 1.55 | 4204 | 1,25 | 4,4 |
| კულტჰარდი | 12,0 | 4105 | 3,4 | 4205 | 1,45 | 12,0 |
| რ.შუმახერი | 3.6 | 4106 | 1,4 | 4206 | 1,2 | 3,6 |
| ალონსო | 25.0 | 4107 | 4,6 | 4207 | 1,5 | 20,0 |
| ტრული | 40.0 | 4108 | 7.5 | 4208 | 2,0 | 40,0 |
| ბატონი | 75.0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,8 | 75,0 |
| ვილნევი | 100.0 | 4110 | 20,0 | 4210 | 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 100.0 | 4111 | 20,0 | 4211 | 4.0 | 100,0 |
| პანისი | 100.0 | 4112 | 20,0 | 4212 | 4,0 | 100,0 |
| ვებერი | 75.0 | 4113 | 15,0 | 4213 | 2,6 | 75,0 |
| ფრენცენი | 100.0 | 4114 | 25.0 | 4214 | 4,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 100.0 | 4115 | 25,0 | 4215 | 4,0 | 100,0 |
| და მატა | 100,0 | 4116 | 25,0 | 4216 | 4,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 2,05 |
| მაკლარენი | 3,8 |
| უილიამსი | 1,85 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 50,0 |
| ბარ | 40,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| ჯორდანი | 50,0 |
| იაგუარი | 40,0 |
| მინარდი | 200,0 |

sportsbook infoworld p2p

## გეიმბუკერსი (ინგლისი -ავსტრია)

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. I ტური

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კერნტენი — აუსტრია | 4,1 | 3,25 | 1,77 |
| გრაცერი — ადმირა | 1,5 | 3,75 | 5,5 |
| რაპიდი — პაშინგი | 1,77 | 3,25 | 4,1 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეგენცი — ზალცბურგი | 2,5 | 3,15 | 2,5 |

### ფინეთი. XIII ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაკა — ალიანსი | 1,75 | 3,3 | 4,0 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კუოპიო — ტურკუ | 2,35 | 3,1 | 2,65 |
| ტამპერე — მიუპა | 2,4 | 3,15 | 2,55 |

### ნორვეგია. XIII ტური
19 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიოლდე — სოგნდალი | 2,0 | 3,55 | 2,95 |

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი | 2,08 | 3,55 | 2,8 |
| ბრინი — ალესუნდი | 1,65 | 3,7 | 4,1 |
| ლილესტრიომი — ლინი | 2,08 | 3,4 | 2,9 |
| ტრომსიო — რუსენბორგი | 5,0 | 4,0 | 1,48 |
| სტაბეკი — ვიკინგი | 2,1 | 3,5 | 2,8 |

21 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლერენგა — ბრანი | 1,65 | 3,4 | 4,5 |

### რუსეთი
პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი — ცსკა | 2,65 | 3,0 | 2,45 |

### შვედეთი. XIV ტური
17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიკ — გიოტებორგი | 1,75 | 3,5 | 4,0 |
| იორგრიტე — იურგორდენი | 2,6 | 3,25 | 2,4 |

### შვეიცარია. I ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,36 | 4,2 | 7,3 |
| სერვეტი — ვილი | 1,7 | 3,4 | 4,4 |
| სენტ გალენი — იანგ ბოისი | 2,3 | 3,15 | 2,8 |
| თუნი — აარაუ | 2,3 | 3,15 | 2,8 |
| ბაზელი — ციურიხი | 1,4 | 4,0 | 7,0 |

### ჩემპიონთა ლიგა
I საკვალიფიკაციო ეტაპი

I მატჩები

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სლიმა — სკონტო | 3,8 | 3,3 | 1,8 |
| დინამო თბილისი — ტირანა | 1,45 | 3,8 | 5,85 |
| პიუნიკი — რეიკიავიკი | 1,6 | 3,5 | 4,75 |
| შერიფი — ფლორა | 1,5 | 3,65 | 5,5 |
| ომონია — ირტიში | 1,4 | 4,0 | 6,3 |
| ვარდარი — ბარი თაუნი | 1,38 | 4,0 | 6,75 |
| ტორსჰავნი — კაუნასი | 3,4 | 3,2 | 1,93 |
| გრევენმახერი — ლეოტარი | 4,1 | 3,45 | 1,7 |
| გლენტორანი — ჰიკ | 3,4 | 3,15 | 1,95 |

### კონკაკაფის ოქროს თასი
15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კანადა — კუბა | 1,88 | 3,3 | 3,4 |
| აშშ — მარტინიკი | 1,1 | 6,5 | 15,0 |

interwetten.com

## ინტერვეტენი (ავსტრია)

### ამხანაგური მატჩები
15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი) | 1,65 | 3,3 | 3,8 |
| ვერდერი (გერმანია) — ცსკა (ბულგარეთი) | 1,45 | 3,7 | 4,6 |

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანზა (გერმანია) — ჰიბერნიანი (შოტლანდია) | 1,5 | 3,6 | 4,4 |
| შალკე (გერმანია) — როდა (ჰოლანდია) | 1,55 | 3,5 | 4,2 |
| კიოლნი (გერმანია) — ლივერპული (ინგლისი) | 2,3 | 3,1 | 2,3 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფულემი (ინგლისი) — სელტიკი (შოტლანდია) | 2,2 | 3,2 | 2,4 |

### კონკაკაფის ოქროს თასი
15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კანადა — კუბა | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| აშშ — მარტინიკი | 1,1 | 7,0 | 15,0 |

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გვატემალა — იამაიკა | 2,9 | 3,2 | 2,1 |
| ბრაზილია — ჰონდურასი | 1,55 | 3,5 | 4,8 |

### გერმანიის ლიგის თასი
ნახევარფინალი

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ჰერტა | 2,7 | 3,0 | 2,3 |

### რუსეთი
პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი — ცსკა | 2,3 | 3,1 | 2,3 |

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. I ტური

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცერი — ადმირა | 1,55 | 3,5 | 4,8 |
| კერნტენი — აუსტრია | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| რაპიდი — პაშინგი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეგენცი — ზალცბურგი | 2,7 | 3,0 | 2,3 |

### შვეიცარია. I ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ციურიხი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,4 | 3,9 | 6,0 |
| სერვეტი — ვილი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| სენტ გალენი — იანგ ბოისი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| თუნი — აარაუ | 2,2 | 3,0 | 2,9 |

### შვედეთი. XIV ტური
17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიკ — გიოტებორგი | 1,75 | 3,1 | 3,6 |
| იორგრიტე — იურგორდენი | 2,35 | 3,0 | 2,35 |

### ფინეთი. XIII ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაკა — ალიანსი | 1,7 | 3,1 | 3,8 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კუოპიო — ტურკუ | 2,4 | 2,9 | 2,4 |
| ტამპერე — მიუპა | 2,3 | 2,9 | 2,5 |

WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

## ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

### ჩემპიონთა ლიგა
I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბატე — ბოჰემიანსი | 1,5 | 3,6 | 4,5 |
| სლიმა — სკონტო | 3,8 | 3,4 | 1,65 |
| დინამო თბილისი — ტირანა | 1,4 | 3,8 | 5,5 |
| პიუნიკი — რეიკიავიკი | 1,65 | 3,4 | 3,8 |
| შერიფი — ფლორა | 1,45 | 3,5 | 5,5 |
| ომონია — ირტიში | 1,35 | 4,0 | 5,8 |
| ტორსჰავნი — კაუნასი | 3,4 | 3,2 | 1,8 |
| ვარდარი — ბარი თაუნი | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| გრევენმახერი — ლეოტარი | 4,0 | 3,4 | 1,6 |
| გლენტორანი — ჰიკ | 3,2 | 3,4 | 1,9 |

### გერმანიის ლიგის თასი
ნახევარფინალი

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,7 | 3,3 | 3,7 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ჰერტა | 2,4 | 3,2 | 2,3 |

### ფინეთი. XIII ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაკა — ალიანსი | 1,65 | 3,4 | 3,8 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კუოპიო — ტურკუ | 2,3 | 3,2 | 2,4 |
| ტამპერე — მიუპა | 2,4 | 3,0 | 2,4 |

### კონკაკაფის ოქროს თასი
15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ — მარტინიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| კანადა — კუბა | 1,7 | 3,3 | 3,7 |

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაზილია — ჰონდურასი | 1,4 | 3,8 | 5,5 |
| გვატემალა — იამაიკა | 3,0 | 3,3 | 1,9 |

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. I ტური

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცერი — ადმირა | 1,5 | 3,4 | 4,8 |
| კერნტენი — აუსტრია | 3,6 | 3,2 | 1,75 |
| რაპიდი — პაშინგი | 1,7 | 3,3 | 3,7 |

17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეგენცი — ზალცბურგი | 2,4 | 3,2 | 2,3 |

### შვედეთი. XIV ტური
17 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიკ — გიოტებორგი | 1,7 | 3,4 | 3,6 |
| იორგრიტე — იურგორდენი | 2,4 | 3,2 | 2,3 |

### შვეიცარია. I ტური
16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ციურიხი | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| სერვეტი — ვილი | 1,6 | 3,4 | 4,0 |
| სენტ გალენი — იანგ ბოისი | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| თუნი — აარაუ | 1,9 | 3,2 | 3,1 |

CORAL EUROBET

## ევრობეთი (დიდი ბრიტანეთი)

### ჩემპიონთა ლიგა
I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბატე — ბოჰემიანსი | 1,55 | 3,5 | 5,2 |
| სლიმა — სკონტო | 4,25 | 3,3 | 1,7 |
| დინამო თბილისი — ტირანა | 1,45 | 3,6 | 6,25 |
| პიუნიკი — რეიკიავიკი | 1,6 | 3,4 | 4,85 |
| შერიფი — ფლორა | 1,45 | 3,7 | 6,0 |
| ომონია — ირტიში | 1,45 | 3,7 | 6,0 |
| ტორსჰავნი — კაუნასი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| ვარდარი — ბარი თაუნი | 1,35 | 3,85 | 7,85 |
| გრევენმახერი — ლეოტარი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| გლენტორანი — ჰიკ | 3,5 | 3,2 | 1,9 |

### კონკაკაფის ოქროს თასი
15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ — მარტინიკი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| კანადა — კუბა | 1,85 | 3,25 | 3,75 |

# ორლანდომ დრაფტი მოიგო, ორივე მეორერაუნდელი გამოადგა
## ზაზა ფაჩულიას კონტრაქტი დაუპირეს



*ყველაფერი კონტრაქტსკენ მიდის, ორლანდოელები ზაზა ფაჩულიას სულ მალე დაუდებენ ხელშეკრულებას. უკვე თამამად შეიძლება ითქვას: მომავალ სეზონში ნბა-ს მესამე ქართველი დააჭაშნიკებს!*

ოფიციალურად ჯერ არაფერი მომხდარა, მაგრამ ამერიკული (ფლორიდული) პრესა და „ორლანდოს" მწვრთნელები ისე მიზანმიმართულად ალაპარაკდნენ ფაჩულიაზე, რომ ალბათ გადაწყვიტეს კიდეც მისი ბედი.

ყველაფერი კი ორლანდოურ კემპზე ზაზას თამაშს მოჰყვა. „ჯადოქრები" ახალბედათა გამოსაცდელ ტურნირს მასპინძლობდნენ, რომელშიც წლევანდელი დრაფტის არაერთი მოწინავე და ნბა-ში ერთწლიანი გამოცდილების მქონე კალათბურთელებიც მონაწილეობდნენ. „კლივლენდთან" უხეირო დებიუტის შემდეგ, რომელმაც ალბათ ბევრს აფიქრებინა, ფაჩულია დიდი ვერაფერი ბედენააო, ქართველი ცენტრი ყოჩაღად ათამაშდა, ორი მატჩი მძლავრად ჩაატარა და საზაფხულო ლიგა დიდებული თამაშითაც დაავგირგვინა.

ჩვენთან კვირა რომ თენდებოდა, „ორლანდომ" საზაფხულო ლიგის უკანასკნელი შეხვედრა გამართა „მინესოტასთან", რომელშიც ფაჩულიამ 37 წუთში 22 ქულა, 13 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ზაზას ხუთ ორლანდოურ მატჩში საშუალოდ 12,6 ქულა და 8,6 მოხსნა მოუგროვდა და ლიგის მექულეთა შორის მეცხრე, მომხსნელებში კი მე-2 ადგილი ერგო.

ვერაფერს იტყვი, საკმარისზე კარგი შედეგია დრაფტზე 42-ე ნომრად არჩეული კალათბურთელისთვის, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დრაფტზე ფაჩულიას მომყოლმა 43-ე ნომერმა, კიტ ბოგანსმა ფაჩულიაზე არანაკლებ შთამბეჭდავად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. „ორლანდოშიც" ერთი ზარ-ზეიმია, ფლორიდელები ხარობენ — დრაფტმა გაგვიმართლა, ორივე მეორერაუნდელი ყოჩაღი ბიჭი გამოდგაო.

მთლად ფაჩაულიასა და ბოგანსივით ვერ გაილაღა ორლანდოელთა პირველი წრის რჩეულმა რის გეინისმა, მაგრამ ურიგოდ არც ის გარჯილა და თამაშების შემდეგ „ჯადოქართა" მთავარმობლვარმა დოკ რივერსმაც ბრძანა — „ძალიან მომწონს ჩვენი ახალბედები. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად დასრულდება ჩვენთვისაც და მათთვისაც."

ფლორიდელთა ახალბედებს ეხება კვირას „ორლანდო სენტინელში" გამოქვეყნებული ჯერი ბრევერის სტატია, სადაც ორლანდოელთა საუკეთესო მოთამაშეებად ზაზა ფაჩულია და კიტ ბოგანსია დასახელებული — „მეჯიქის" ორივე მეორერაუნდელმა ძალიან მომხიბლავად ითამაშა. ისინი გუნდის ლიდერები იყვნენ. ბოგანსმა დაამტკიცა, რომ საშუალო დისტანციიდან სროლის სპეციალისტია, ფაჩულია კი ფარქვეშ ყველა მეტოქეს იოლად გაუსწორდა."

ზაზას ამერიკელები სწორედ იმას უქებენ, რის არქონასაც შარშანდელი დრაფტის მე-5 ნომერ ნიკა ცქიტიშვილს ყველაზე დიდ მინუსად უთვლიან და ალბათ რაც უმთავრესია ნბა-ში დასამკვიდრებლად — ესაა ჯანი და მასიური ტანი. „19 წლის ფაჩულიაში დამაინტრიგებელი ტალანტი ბუდობს. მას სოლიდური ტანი და აღნაგობა აქვს და კარგადაც იყენებს საკუთარ ძალას. მისი ერთ-ერთი კოზირი ფიზიკური თამაშია, რაც ორლანდოელი ცენტრების ყველაზე სუსტი წერტილია. ამასთან ქართველი მეტად სუფთად ისვრის საშუალო მანძილიდან და არც ორი-სამი მეტოქის მოტყუებას ერიდება. კარგი მონაცემები და ამ მონაცემების შედეგიანად გამოყენების უნარი ფაჩულიას ალბათ მალე გადააქცევს ნბა-ს მოთამაშედ."

საკონტრაქტო აქტი რომ მოახლოებულია, ამას ორლანდოელი ჟურნალისტების მიერ ფაჩულიას „ულქერთან" მოქმედი კონტრაქტით დაინტერესებაც მოწმობს. მათი ცნობით, თურქულმა კლუბმა განაცხადა, რომ ფაჩულიაზე უფლებებს ფლობს და „ორლანდოსთან" ხელშეკრულება ისე ვერ მოხერხდება, თუ ქართველის კონტრაქტი „ულქერისგან" არ გამოისყიდეს.

როგორც წესი, ნბა-ს კლუბს ევროპელთათვის კალათბურთელის გამოსასყიდად. 350 ათასზე მეტის გადახდა ეკრძალება, ეს თანხა კი, მეორერაუნდელის წლიური ხელფასის მინიმუმია. „ულქერი", ცხადია, მეტს მოითხოვს და დანარჩენის გადახდა ზაზას მოუწევს. ამიტომაც ვარაუდობენ „ორლანდო სენტინელის" ჟურნალისტები, რომ თუ „ჯადოქრებს" ფაჩულიას გუნდში ჩარიცხვა სურთ, 350 ათასზე მეტი უნდა გადაუხადონ წლიურად, ასე 650 ათას დოლარამდე.

ხოლო ორლანდოელებს ფაჩულიას და ბოგანსის დატოვება რომ სურთ, ჟურნალისტი ჯერი ბრევერი იქვე აღნიშნავს — „ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ „მეჯიქი" ორივე მეორერაუნდელს გაუფორმებს კონტრაქტს. საერთოდ, იშვიათად ხდება, რომ მეორე წრეში აყვანილ კალათბურთელს კონტრაქტს უფორმებენ, „ორლანდოს" კი წლეულს მართლაც მაგრად გაუმართლა, ორივე — ფაჩულია და ბოგანსი, გუნდში აყვანის ღირსია. ამ ბიჭების მონდომება „ორლანდოს" ხუთეულის კარგ შემცვლელებად ყოფნას მაინც იმსახურებს."

**ირაკლი ბერტაია**

# ცქიტიშვილმა მეფარეობა შეიფერა



ზაზა ფაჩულიამ კვირას რომ დაამთავრა საზაფხულო კემპი, ნიკა ცქიტიშვილმა დაიწყო. კალიფორნიულ ლონგ ბიჩში გუშინწინ გახურებულ ნბა-ს კლუბთა მინი-ტურნირის პირველივე მატჩი წააგო „დენვერ ნაგიტსმა", თუმც ამგვარ კემპებში მონაწილე გუნდებისთვის გამარჯვებაზე მეტი ფასი ახალწვეულთა გამოცდას აქვს.

არც ამაში გაუმართლა „დენვერს". კოლორადოელთა იმედმა, წლევანდელ დრაფტზე მე-3 ნომრად არჩეულმა კარმელო ენტონიმ თამაში იუარა, აქაოდა კონტრაქტი გამიფორმეთ და მოედანზე მერე გავალო. სამაგიეროდ, შარშანდელმა ახალბედამ, ნიკა ცქიტიშვილმა იყოჩაღა, რომელმაც 14 ქულა შეაშველა თავისიანებს. დენვერელთაგან „ცქიტოს" მხოლოდ როდნი ვაიტმა აჯობა 24 ქულით.

ცქიტიშვილს უმალ დაეტყო ამპლუის გამოცვლა. აქამდე „სამ ნომერზე", ფრთის პოზიცაზე მოთამაშე „სკიტამ" გუშინწინდელ მატჩში თავდამსხმელად ითამაშა და თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი — 9 მოხსნა მოიხვეჭა.

„მემფისთან" დამარცხებული „დენვერი" დღეს გამთენიისას „დალასს" ეთამაშა.

# კიდი ნიუ ჯერსიში გამოეკიდა
## ცქიტიშვილს მიმცემი გამოუჩნდა

*ახლოვდება 16 ივლისი, საკონტრაქტო სეზონის გახსნის დღე და ნბა-შიც თანდათან იხსნება უკონტრაქტო ბიჭების საქმეები. ბევრი კლუბი და მოთამაშე ერთმანეთში უკვე მორიგდნენ, შეთანხმდნენ და 16 ივლისსღა ელიან, რათა სიტყვიერ შეთანხმებას დასრულებული სახე მისცენ*

მოულოდნელად გაიხსნა ნიუჯერსელი თავისუფალი აგენტის ჯეისონ კიდის გარშემო შეკრული კვანძი. „ნიუ ჯერსიში" გატარებული ორი მძლავრი სეზონის შემდეგ კიდი „სან ანტონიოში" გარბოდა, რადგან ფიქრობდა, ჩემპიონობის შანსი იქ უფრო მაქვსო, მაგრამ ბოლოს გუნდის შეცვლა გადაიფიქრა. შესაძლოა, კიდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" უსაშველოდ გაძლიერებამ დააფრთხო. „სან ანტონიო" ჩემპიონია და მომავალ სეზონსაც ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით დაიწყებს, მაგრამ საქმე ისაა,



ჯუონ ჰოვარდი ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი გახდა

რომ „სან ანტონიო" დასავლეთ კონფერენციაშია, სადაც ფეხს ვერ აუქცევ ძლიერ გუნდებს („ლეიკერსი", „საკრამენტო", „დალასი"). ამათ შემხედვარე კიდმა იფიქრა, ჩემპიონობა არც „სან ანტონიოში" მექნება გარანტირებულიო და ისევ „ნიუ ჯერსიში" დარჩენა არჩია, რომელიც პლეი ოფის ფინალში უპრობლემოდ გადის აღმოსავლეთ კონფერენციიდან. თანაც „ნეთსის" ბოსმა როდ ტორნმა წინ დაუდო ახალი, 6-წლიანი და 99-მილიონიანი კონტრაქტი.

კიდს დარჩენის სხვა მიზეზიც ჰქონდა, ის მარტო ფულს არ გამოჰკიდებია. იმავე დღეს, როცა მისი ამბავი გაირკვა, „მაიამი ჰითის" ცენტრმა ალონზო მურნინგმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, „ნიუ ჯერსიში" მივდივარო. რატომ გამოვრიცხოთ გარიგება? იქნებ კიდმა და მურნინგმა ერთმანეთთან იჭუკჭუკეს და გადაწყვიტეს, აღმოსავლეთ კონფერენციას ერთად დაერივნენ, რომელიც აქამდეც დატერორებული ჰყავდა „ნიუ ჯერსის". ბოლო ორი პლეი ოფის ფინალისტ „ნეთსს" შეხმატკბილებულ სასტარტო ხუთეულში ნაღდი ცენტრიღა აკლდა და მურნინგი რომ გამოჩნდა, კიდმაც დარჩენა არჩია.

მურნინგი 8-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ უმტკივნეულოდ გაშორდა „მაიამის", თუ არ ჩავთვლით „მაიამის" ფანების მძაფრ უკმაყოფილო რეაქციას. მას დაუმთავრდა „ჰითთან 7-წლიანი და 105-მილიონიანი კონტრაქტი და სხვაგან წასვლას ვერავინ დაუშლიდა.

აღსანიშნავია, რომ მურნინგს ბოლო სეზონი საერთოდ არ უთამაშია თირკმლის მძიმე დაავადების გამო, თუმც ახლა ის ჯანზე ჩანს და, როგორც ამბობს, 33 წლის ასაკში თავიდან იწყებს კარიერას — „ნიუ ჯერსისთან" 4-წლიანი და 22-მილიონიანი ხელშეკრულების დადებას აპირებს.

ამ უქმეებზე სხვა კლუბ-მოთამაშეებმაც მოამთავრეს მოლაპარაკებები. ორი გადასვლაა აღსანიშნავი — დენვერელმა თავისუფალმა აგენტმა, „ნაგიტსის" ყოფილმა ლიდერმა ჯუონ ჰოვარდმა კარიერის გაგრძელება „ორლანდო მეჯიქში" არჩია და კლუბს, რომელშიც ნბა-ურ კარიერას დაიწყებს ზაზა ფაჩულია, 5-წლიან და 28-მილიონიან თანამშრომლობაზე სიტყვიერად გაურიგდა. მეორე ქართველის, ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა" უპრობლემოდ და სიამოვნებითაც კი გაუშვა ჰოვარდი, რომელიც ბოლო სეზონში გაკეთებული 18,4 ქულისა და 7,6 მოხსნის კვალობაზე უზარმაზარ, 20-მილიონიან ხელფასს იხვეჭდა.

ახლა „დენვერი" ამ ფულს სხვა რიგიანი ბიჭების გადმოსაბირებლად გამოიყენებს. უკვე აიყვანა კიდეც ერთი ვარსკვლავი, ექსკლიპერსელი გამთამაშებელი ანდრე მილერი. „დენვერი" მანამდე გოლდენსტეიტელი ჯილბერტ არენასის გადაბირებაზე წვალობდა, მაგრამ აგერ კიდევ უკეთესი მოთამაშე ჩაიგდო ხელში.

ანდრე მილერი ნბა-ს ერთ-ერთი უყოჩაღესი მეპასეა. 2001-02 სეზონში „კლივლენდში" თამაშისას ჯეისონ კიდს სეზონის პირველი მეპასის წოდებაც კი აართვა, მაგრამ მერე „ლოს ანჯელეს კლიპერსში" გადავიდა, რომელსაც ვერ შეეწყო და ერთ წელიწადში გაეცალა კიდეც.



ნიკა ცქიტიშვილს პასებით ანდრე მილერი მოამარაგებს

ანდრე მილერი უმნიშვნელოვანესი შენაძენია ნიკა ცქიტიშვილის გუნდისთვის. დენვერელებს წინა სეზონში ყველაზე მეტად პასის მიმცემი აკლდათ და რეგულარული ჩემპიონატი აკი უმდაბლეს საფეხურზე დაასრულეს. ახლა მილერი ახალბედა კარმელო ენტონისთან ერთად „ნაგიტსის" შეტევას დაალაგებს და გაამწვავებს და „დენვერს" წინა სეზონთან შედარებით ასე 15 თამაშით მეტს მაინც მოაგებინებს.

„დენვერის" გენმენეჯერი კიკი ვანდევეჯი მოლაპარაკებას აწარმოებს კიდევ ორ კლიპერსელთან, კორი მეჯიტთან და მაიკლ ოლოვოკანდისთან და მოლაპარაკებებს ისეთი პირი უჩანს, ორივეს თუ არა, ერთს მაინც წაიყვანს თავისთან.

**კოტე ყორშია**



# ლარი ბერდი მდინარეში მეორედ შევიდა

ლარი ბერდი შინ და დიდ კალათბურთში ბრუნდება. 80-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე მშობლიური შტატის გუნდის, „ინდიანა პეისერზის" პრეზიდენტად დაინიშნა და მწვრთნელ, ასევე ინდიანაში დაბადებულ მეორე ლეგენდასთან, აიზია ტომასთან ერთად „პეისერზის" მეთაურთა დუეტს შექმნის. ტომასი მოედანზე მოაგვარებს საქმეებს, ბერდი — მოედანს მიღმა.

იქნებ კიდეც გახსოვდეთ და ტომასი ბერდის მემკვიდრეა. ის „ინდიანას" მას შემდეგ ჩაუდგა სათავეში, რაც ბერდი მწვრთნელობას შეეშვა. ლარი კი 1997-2000 წლებში წვრთნიდა „ინდიანას" და სამივე სეზონში გაიყვანა აღმოსავლეთის ფინალში. მესამედ, 2000 წელს, მან „პეისერზს" მანამდე აულებელი მწვერვალი აალებინა, დიდ ფინალში გაიყვანა, სადაც „პეისერზმა" ღირსეულად წააგო გოროზ „ლეიკერსთან".

არც ბერდს და არც ტომასს არასდროს უთამაშიათ „ინდიანაში" — პირველი მუდამ „ბოსტონს" ერთგულობდა (სამჯერ აჩემპიონა), მეორე კი „დეტროიტისთვის" დაიხარჯა (ორჯერ აჩემპიონა), მაგრამ ორივენი ინდიანაში აღიზარდნენ და ნბა-ში მოსვლამდეც ამ შტატის შვილები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ლარი ბერდს კომპანიონებთან ერთად სურდა შარლოტიდან „ჰორნეთსის" აბარგების შემდეგ ამ ქალაქში ახალი გუნდი შეექმნა, მაგრამ მის ჯგუფს აჯობა მილიარდელმა რობერტ ჯონსონმა. ბერდი უსაქმოდ ვერ გაჩერდა და ისევ მშობლიურ „ინდიანაში" მივიდა. ცნობილმა ბიზნესმენმა და სპორტულმა მოღვაწემ დონი უოლშმა მას ხალისით გაუთავისუფლა პრეზიდენტის ადგილი.

# კლიპერსს დანლივი გაწვრთნის

„ლოს ანჯელეს კლიპერსს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ამ ვერა და ვერ აღორძინებულ კლუბს ცნობილი სპეციალისტი მაიკ დანლივი გაწვრთნის. „კლიპერსის" ვიცე-პრეზიდენტმა ელჯინ ბეილორმა კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა დროებით თავკაც დენის ჯონსონს და მის ადგილზე დანლივის დაუძახა, რომელსაც 10 წელი უმუშავია „ლეიკერსის", „მილუოკისა" და „პორტლენდის" თავკაცად და „ლეიკერსი" 1991 წელს დიდ, ხოლო „პორტლენდი" 1999 და 2000 წლებში დასავლეთის ფინალში გაუყვანია. 1999 წელს ჟურნალისტებმა დანლივი სეზონის მწვრთნელად აღიარეს.

დანლივის „კლიპერსში" საკმაოდ არასახარბიელო ვითარება დახვდება. ულიმღამო სეზონის შემდეგ გუნდიდან გარბიან თავისუფალი აგენტები. ისინი კი „კლიპერსის" ხელმძღვანელების ჭირად ბევრნი არიან. უკვე გაიქცა ანდრე მილერი, ხოლო კორი მეჯიტი, მაიკლ ოლოვოკანდი, ლამარ ოდომი და ერიკ პიატკოვსკი ჯერ სიტუაციას წონიან. მაიკ დანლივის თითოეულ მათგანთან მოუწევს საერთო ენის გამონახვა.

## საქართველოს თასი ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# დათვი და მატარებელი თასის ფინალი იგავი გახდა

— 13 ივლისი. თბილისი —

**აკადემია 16:31 ლოკომოტივი**

**აკადემია:** სუთიძე, ბატოიანი, ელიზბარაშვილი (ჩაჩუა), კაპანაძე, ქავთარაშვილი, ქოპილაშვილი, მ. კობახიძე; ბალახაშვილი (ბანდელიძე), სანადირაძე, ზირაქაშვილი, ნებულიშვილი, გელაძე, უჩავა, ა. ზედგინიძე, პაპაშვილი
**1ლ:** ელიზბარაშვილი; **1გ:** ელიზბარაშვილი; **3ს:** ელიზბარაშვილი
**ლოკომოტივი:** ასათიანი, ძნელაძე, გუგავა, გიგაური, ხუნწარია, კვინიხიძე, კოტრიკაძე; კიკუაშვილი (კერესელიძე), სვანიძე, ჭელიძე, კახიანი, დათუნაშვილი, ა. კობახიძე, მაისურაძე, კ. კობახიძე
**ნლ:** მაისურაძე (2), კ. კობახიძე, სვანიძე, კოტრიკაძე; **3გ:** კვინიხიძე
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი

— 13 ივლისი. ბათუმი —

**დათვები 15:10 აია**

**დათვები:** პინჩუკოვი (ცისკარიშვილი), მაჩიტიძე, სვინტრაძე (დავლაძე), იურინი, ხონელიძე, ჩუბინიძე, კიკაჩეიშვილი; ღლონტი (მოქია), ბალანჩივაძე (გურეშიძე), ნინიძე (მოლაშხია), ბერიძე, ალექსიძე (კიკვიძე), ცხვედიანი, ჩირგაძე, ი. სვანიძე
**3ს:** მაჩიტიძე; **2ა:** მაჩიტიძე, ჩუბინიძე
**აია:** ელოშვილი, ე. ძაგნიძე, ლილუაშვილი, აშვეთია, ნამჩევაძე, ზვიადაძე, გიორგაძე (სორდია); დადუნაშვილი (ბუხაიძე), კუხიანიძე (ცნობილაძე), კოპალიანი, მინაძე, პავლოვი, ტორაძე, საყვარელიძე, გოგისვანიძე
**1ლ:** ნამჩევაძე; **1გ:** ზვიადაძე; **1ს:** ზვიადაძე
**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა

საქართველოს თასის ფინალში ერთმანეთს ძველი მეტოქეები — თბილისის „ლოკომოტივი" და ბათუმის „დათვები" შეხვდებიან. ნახევარფინალის საპასუხო მატჩები ორივემ სათავისოდ დაასრულა და 20 ივლისს თბილისში ერთმატჩა ფინალში ქვეყნის თასისთვის იბრძოლებენ.

ნახევარფინალის საპასუხო მატჩებიდან ინტრიგა „დათვების" და „აიას" შეხლასლა შერჩენოდა. ქუთაისში მასპინძლებმა 14:13 დაამარცხეს ბათუმელები. ქუთათურთათვის ერთქულიანი ჰანდიკაპი საკმარისი რომ არ იქნებოდა, ეს თავად მათაც კარგად იცოდნენ და აკი საპასუხო მატჩმაც დაამტკიცა. მართალია, დიდი ჯაფის ფასად, მაგრამ თავიანთი ფეხჩუბინი უკანახაზელების, უბერებელი კახა მაჩიტიძის და გიორგი ჩუბინიძის ზუსტი დარტყმებით ბათუმელებმა შეძლეს აიელთა საჭირო სხვაობით დამარცხება და ფინალშიც გააღწიეს.

„ლოკომოტივს" კი საფინალო საგზური ფაქტობრივად დაბევებული ჰქონდა. პირველი მატჩი რკინიგზელებმა 31:7 მოიგეს და საპასუხო შეხვედრას ფორმალობადღა იქცა.

მეოთხედფინალში ხელმოცარულთაგან კი მე-5 ადგილს ანუ გაზეთ „სპორტის" საგანგებო პრიზს ერთმანეთს შეეცილებიან თბილისური კლუბები „უნივერსიტეტი" და „აია". მათი მატჩი 19 ივლისს გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**



„აკადემია" — „ლოკომოტივი". ანგარიშიდან არ ჩანს, მაგრამ ბრძოლა კი ფიცხელი იყო

## სამი ერი 2003




ბრენტ რასელი და მისიანები ავსტრალიელებს მართლაც ქურციკებივით გადაახტნენ

*სენსაციით თუ არა, მოულოდნელობით მაინც დაიწყო წლევანდელი სამი ერის გათამაშება. მაჩანჩალა სამხრეთ აფრიკამ შინ, კეიპტაუნში მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია დაამარცხა და სანამ ახალი ზელანდია უქმობდა, ცხრილის სათავეში მოექცა. უქულოდ არც ავსტრალია დარჩა. ოზებმა 7 ბურთზე ნაკლებით წაგებისთვის პრემიალური ქულა მიიღეს*

# აფრიკელებმა ჯიბიდან ისროლეს

— 12 ივლისი. კეიპტაუნი —

**ს. აფრიკა 26:22 ავსტრალია**
**სამხრეთ აფრიკა:** 2ლ: რასელი, მეთფილდი; 2გ: კოენი; 4ს: კოენი
**ავსტრალია:** 3ლ: სეილორი, ვუ, როფი; 2გ: ბერკი; 1ს: ბერკი

დიდი გამარჯვება სამხრეთაფრიკელებს მათი ფულბეკის (მე-15 ნომერი), იაკო ფან დერ ვესტჰოიზენის ტრავმამ ჩაუმწარა. მატჩის მე-3 წუთზე მას მუხლის მყესები გაუწყდა და მინიმუმ სამ თვეს ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ქურციკების" ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოს თასს გამოტოვებს. „ჩემი ოცნება დაიმსხვრა... ისღა დამრჩენია, ბიჭებს შორიდან ვუქომაგო" — თქვა დაღვრემილმა ფან დერ ვესტჰოიზენმა, როცა ექიმის დასკვნა მოისმინა.

მატჩის გმირი კი ბრენტ რასელი გახდა, რომელმაც სწორედ ტრავმირებული ვესტჰოიზენი შეცვალა. „ჯიბის რაკეტად" წოდებულმა რასელმა, შეიძლება რაგბის მართლა დიდმა ოსტატმა, იქ შეთვისებული ფინტები და დრიბლინგი 15-კაცაშიც გამოიყენა და ავსტრალიელებს თავგზა აუბნია. „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ რასელი მსოფლიო დონის მორაგბე დადგებოდა. მის შესაძლებლობებში ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი" — ეს უზომოდ გახარებული მწვრთნელის, რუდი სტრაულის მატჩისშემდგომი კომენტარია. სხვათა შორის, თამაშამდე სტრაულის ბევრს აკრიტიკებდნენ არასწორად შერჩეული შემადგენლობის გამო.

თავად რასელის კომენტარი მოკრძალებულია: „განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ისე ვითამაშე, როგორც მჩვევია. გუნდის გამარჯვებაში ჩემი პატარა წვლილი შევიტანე, ის კი ძალიან მახარებს და მეამაყება."

რასელი კი ამბობს, პატარა წვლილიო, მაგრამ მატჩის ანგარიში საპირისპიროზე მეტყველებს. ბრენტმა ჯერ ავსტრალიელი ბერკის არეკნს უპასუხა ლელოთი, ხოლო როცა ანგარიში 10:10 იყო, მოედნის ცენტრში ოზთა მცველებს ჩაუსლალომა და მისი დაწყებული შეტევა ვიქტორ მეთფილდმა დაასრულა გადამწყვეტი ლელოთი, თავისიანთა ნაჯაფარი კი ლუის კოენმა გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც დაურთო. ავსტრალიელი ჯო როფის ლელომ „ვოლაბებს" მხოლოდ პრემიალური ქულა მოუტანა.

ერთიც — ავსტრალიელი ლოთე ტუკირის საქმეს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. მან სამხრეთაფრიკელი რობ კემპსონი გალახა. ეს ეპიზოდი მსაჯს კი გამოეპარა, მაგრამ კამერას არ გამორჩენია.

**ბაჩო სვანიძე**

| სატურნირო ცხრილი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| ახალი ზელანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**II ტური**
19 ივლისი. პრეტორია
ს. აფრიკა — ახ. ზელანდია

# ნოვაკის მთიულური შაბაშიც 76 500!





ფინალში ფედერერის მძლეველმა ნოვაკმა კორტზე პირშო კატარინა შემოაგოგმანა

**შვეიცარიის ღია პირველობა**
გსტაადი. თიხნარი
საპრიზო 550 ათასი ევრო

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) სანჩესმა ვერ ითამაშა; **რადეკ სტეპანეკი** (8, ჩეხეთი) — რაინერ შუტლერი (2, გერმანია) 6:4, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (3, ჩეხეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) 6:3, 6:3; **გასტონ გაუდიო** (4, არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:1

**ნახევარფინალი**

**ფედერერი** — გაუდიო 6:1, 7:6 (8:6); **ნოვაკი** — სტეპანეკი 7:5, 6:1

**ფინალი**

**ნოვაკი** — ფედერერი 5:7, 6:3, 6:3, 1:6, 6:3

ამ ფინალამდე როჯერ ფედერერს 15-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩაეთამაშა და — არც თქვენ უნდა დაგვიწყნოდათ — ჰალეს აოხრების შემდეგ უიმბლდონში კარიერის პირველი სლემტიტულიც მოეგო.

ასეთი საარაკო წარმატების შემდეგ ისიც და მისი ქომაგებიც იმედოვნებდნენ, რომ ის ახლა მაინც შეძლებდა მშობლიურ ნიადაგზე გაპირველებას.

აქამდე მას შვეიცარიაში ერთი ტიტულიც ვერ მოემკა, არადა, 2000-01 წლებში მშობლიურ, ბაზელურ ფინალს ორჯერ მიაღწია და პირველად შვედი ტომას ენკვისტისგან რომ დაიჩოგნა, მეორედ ბრიტანელ ტიმ ჰენმანთან დამარცხდა.

გსტაადში ფედერერი მართლაც რიგიანად გაირჯა, მით უფრო იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სამკვირიანი ჰალეურ-უიმბლდონური ბალახობიდან ალპებში და ისიც თიხნარზე გადანაცვლება მოუხდა.

თუმცა მისი მეგობარი და თანამეკეჭნავე ირჟი ნოვაკი, ვისაც მან წინა სამ შეხვედრაში უპრობლემოდ აჯობა, ამჯერად მასზე ძლიერი გამოდგა.

ამ სამმა შეხვედრამ მწყობრი სურათი რომ არ აგვირიოს, აქვე გეტყვით — როჯერმა ისინი მაგარსაფარზე მოიგო, სადაც ის ნოვაკს აპრიორი აღემატება.

აი, თიხნარზე კი ფედერერის წინასასტარტო უპირატესობა ნიველირებულია, მით უფრო, რომ ნოვაკს გსტაადური ტიტული კენტად* შარშანწინაც მოუნაგრავს, ხოლო ორჯერ წყვილადაც გაჩემპიონებულა.

ეს ნოვაკის მეცხრე საკარიერო ფინალი და მეხუთე ტიტული იყო. ფედერერთან მოგებულმა ორსაათიანმა და 49-წუთიანმა ომმა მისი ბიუჯეტი 76 500 ევროთი, მისი საჩემპიონთარბოლო მარაგი კი 35 ქულით გაამდიდრა. შედეგად — რბოლის საამკვირაო სიაში ის 21-ე ადგილის ნაცვლად უკვე მე-17 საფეხურზეა.

ბარემ იმასაც მოგაგონებთ, რომ გსტაადში შარშანწინ გაპირველების შემდეგ მას ერთი ტიტულიც აღარ მოენაგრა და სამი ფინალი — 2002 წელს ვენასა და მადრიდში, ხოლო წლეულს დუბაიში (სწორედ ფედერერთან) წაეგო.

ნოვაკი თვლის, რომ ის ზღვის დონიდან მაღალ ალაგებში თამაშის ოსტატია და ორი გსტაადური ტიტულის გარდა ამის საილუსტრაციოდ 1998 წელს მეხიკოში მოგებულ ტიტულსაც მოიხმობს.

ფედერერი კი გაისით იმუქრება, თუმცა ჩინებული ნაუიმბლდონევი განწყობის წამურდვლას მაინც არ აპირებს — მას ხომ ათი საამსეზონო მარცხის წილ 53 გამარჯვება მოეპოვება, რაიც წლეულს ამქარში ჩოგნით საჩვენებელი ამბავი გახლავთ.

**SYNSAM SWEDISH OPEN**
ბასტადი. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი ევრო

**მეოთხედფინალი**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:3; **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:4, 6:4; **მარიანო საბალეტა** (5, არგენტინა) — მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი) 4:6, 7:5, 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (6, ეკვადორი) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 7:6 (8:6)

**ნახევარფინალი**

**საბალეტა** — მოია 2:6, 6:3, 6:4; **ლაპენტი** — რობრედო 6:4, 6:2

**ფინალი**

**საბალეტა** — ლაპენტი 6:3, 6:4

25 წლის არგენტინელმა მარიანო საბალეტამ კარიერის მეორე ტიტულთან ერთად 52 ათასი ევროც ირგუნა. პირველი ტიტული მან 1998 წელს ბოგოტაში მოიპოვა, ხოლო მას შემდეგ ზედიზედ ოთხ ფინალში დამარცხდა. ამ ოთხიდან ერთი წლეულს, აკაპულკოში შედგა, სადაც მას თეისტომი კალიერი მოერია.

**MILLER LITE HALL OF FAME TENNIS CHAMPIONSHIPS**
ნიუპორტი. ბალახი
საპრიზო 380 ათასი ევრო

**ნახევარფინალი**

**რობი ჯინეპრი** (4, აშშ) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:5); **იურგენ მელცერი** (8, ავსტრია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:0, 4:6, 7:6 (7:5)

**ფინალი**

**ჯინეპრი** — მელცერი 6:4, 6:7 (3:7), 6:1

ამერიკელი რობი ჯინეპრი 20 წლისაა და ეს მისი პირველი საკარიერო ტიტულია. ტიტულმა მას სახელთან ერთად 52 ათასი დოლარიც მოუტანა.

**პალერმოს საერთაშორისო ტურნირი**
თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $

**ფინალი**

**დინარა საფინა** (რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (4, სლოვენია) 6:3, 6:4

მარატ საფინის 17 წლის დაიკო დინარა საფინამ კარიერის მეორე ტიტულთან ერთად გამარჯვებულისთვის დათქმული 16 ათასი დოლარიც მიითვალა. შეგახსენებთ — სულ პირველად მან შარშან სოპოტურ ტურნირზე იმარჯვა.

**ლევან ძელაურაძე**



**ტურ დე ფრანსი 2003**

# ნუ ემუქრები სხვასაო, გადაგხდება თავსაო

## ბელოკი სიკვდილს გადაურჩა

ლამის ტრაგედიით დასრულდა ტურ დე ფრანსის გუშინდელი, მე-9 ეტაპი. ესპანელი მრბოლი ხოსება ბელოკი ხერხემლის და კისრის მალის მძიმე დაზიანებებით გაპის საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. ეს ამბავი ბორგ ლიოსანიდან გაპამდე გასარბოლი 184,5 კილომეტრიანი ტრასის ბოლოს მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ბელოკმა სარისკო და მეტად აგრესიული მანევრი წამოიწყო, რაც ტურის ლიდერ ლენს არმსტრონგთან საშინელი შეჯახებით დასრულდა. სხვათა შორის, მთიან ტრასაზე ბელოკი არმსტრონგის მთავარ კონკურენტად ითვლებოდა. ესრანელი რბოლის წინ იმუქრებოდა კიდეც, არმსტრონგს გასაქანს არ მივცემო. საბოლოოდ კი რა გამოვიდა? ბელოკი ისე დაშავდა, რომ ტურს საერთოდ გამოტოვებს, თანაც თაბაშირში გახვეული კარგა ხნით მიეჯაჭვა საწოლს. იოლად გადარჩა არმსტრონგი, რომელსაც მხოლოდ ველოს გამოცვლა დასჭირდა, რბოლა კი მე-4 ადგილზე დასრულდა და საერთო ჩათვლაში ლიდერის ყვითელი მაისურა შეინარჩუნა.

„როდესაც ბელოკი მომიახლოვდა დავპანიკდი. ვაღიარებ, რომ ძალიან შემეშინდა... მისმა მოქმედებამ ჩემი და სხვა მრბოლების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა“ — თქვა ამერიკელმა.

არმსტრონგს ოდენ 21 წამით ჩამორჩება ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვი, რომელმაც მოიგო კიდეც გუშინდელი ეტაპი. ვარდისფერ მაისურაში გამოწყობილმა 29 წლის ვინოკუროვმა ეს გამარჯვება, წლეულს პარიზი-ნიცას რბოლაში ველოკატასტროფაში დაღუპულ ძმაკაც ანდრეი კივილევს მიუძღვნა.

სხვათაგან გამოირჩა ავტოკატასტროფის შემდეგ თავიდან აწყობილი ესპანელი ბასკი იბონ მაიო. მაიომ, რომელიც თავის დროზე მთის ვუნდერკინდად ითვლებოდა, მოიგო 12 ივლისს ძალიან იოლად ლალპინე დუეზის სამთო ეტაპი, ხოლო გუშინ ფინიშთან მე-3 მივიდა. საერთო ჩათვლაში მაიო მესამეა და ლიდერ არმსტრონგს 1,02 წუთით ჩამორჩება.

**ბაჩო სვანიძე**

**VII ეტაპი. 12 ივლისი**

**ლიონი — მორზინე 226,5 კმ**

1 რიშარდ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი) 6 სთ 6 წთ 3 წმ
2 როლფ ალდაგი (გერმანია, ქუიქ სტეპი) + 2 წთ 29 წმ
3 სილვენ შავანელი (საფრანგეთი, ბრიოკი) + 3 წთ 45 წმ

**VIII ეტაპი. 13 ივლისი**

**სალანშე — ლალპინე დუეზი 211 კმ**

1 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკალტელი) 5 სთ 57 წთ 33 წმ
2 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, თიმ ტელეკომი) +1 წთ 45 წმ
3 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) + 2 წთ 12 წმ

**IX ეტაპი. 14 ივლისი**

**ლიოსანი — გაპი 184,5 კმ**

1 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტიმ ტელეკომი) 5 სთ 2 წთ
2 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) + 36 წმ
3 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკალტელი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 ლენს არმსტრონგი 40 სთ 15 წთ 26 წმ
2 ალექსანდრ ვინოკუროვი + 21 წმ
3 იბან მაიო + 1 წთ 2 წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ibanesto.com) + 1 წთ 37 წმ
5 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, CSC) + 1 წთ 52 წმ




ლენს არმსტრონგმა ყვითელი მაისურა შეინარჩუნა, ავანტიურისტი ხოსება ბელოკი კი საშინლად დაიმტვრა

REUTERS გამოცემა



# ელენა ახტა, დახტა, 50 ათასს დაახტა


ელენა ისინბაევა

მსოფლიოს ახალი რეკორდის ამბავი ლონდონიდან: რუსი ელენა ისინბაევა ჭოკით 4,82 მეტრზე გადებულ ძელს გადაევლო და ახალი რეკორდი დაამყარა.

21 წლის ისინბაევამ ძველი რეკორდი 1 სანტიმეტრით გააუჯობესა, რომელიც ამერიკელ სტეისი დრაგილას ეკუთნოდა.

„მე მხოლოდ მომენტს ველოდებოდი. ვარჯიშებზე 4,80 მეტრი დამიძლევია და ვიცოდი, რომ ორი სანტიმეტრით მაღლაც შემეძლო ახტომა. ჰოდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა" — უემოციოდ განაცხადა ახალგამომცხვარმა რეკორდსმენმა.

ისინბაევასვე ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდი ახალგაზრდებს შორის. ეს რეკორდი 4,47 მეტრს ითვლის და ელენამ შარშან ბუდაპეშტში დაამყარა.

ახალი რეკორდისთვის ისინბაევას 50 000 აშშ დოლარი ერგო.

GOLDEN LEAGUE ოქროს ლიგა 2003 III ეტაპი. რომი

# გაუშვით, ირბინოს!

## ელ გურუჯს აღარც მისდევენ

სანამ მაროკოელი მერეკორდე და მსოფლიოს რამდენიმეგზის ჩემპიონი, ეთიოპიელი ჰაშამ ელ გურუჯი ბილიკზე გადის, მანამდე 1500 მეტრზე სირბილს აზრი არა აქვს. „თუ მეორე ადგილზე გავედი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემპიონი გავხდი, წინ ხომ მხოლოდ ელ გურუჯი გავუშვი" — ასეთი კომენტარი გააკეთა კენიელმა ბენჟამინ კიპკურეიმ, როცა 1500 მეტრზე რბენა — თავადაც მხვდებოდით — ვისთანაც წააგო. ეს რომში, ოქროს ლიგის მესამე ეტაპზე მოხდა, სადაც ნარჩევი ათლეტები შეიკრიბნენ და აგვისტოში პარიზში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კუნთები გააზურეს.

სეირობას მხოლოდ ამერიკელი ტიმ მონტგომერი დააკლდა, რომელიც თავის ახალშობილს, ტიმ უმცროსს თავზე დასტრიალებს.

მონტგომერის არყოფნაში გაილაღა ამერიკელმა ჯონ კაპელმა, რომელმაც 100 მეტრი 10,04 წამში გაირბინა და აშშ-ს ჩემპიონი ბერნარ უილიამსი ჩამოიტოვა. უილიამსს მაინც შეხვდა თავისი წილი ოქრო. ეს მან 200 მეტრის 20,01 წამში გარბენით მოახერხა.

კაცებზე საუბარს აქვე დავასრულებდით, რომ არა ოლიმპიური ჩემპიონი 10 000 მეტრზე რბენაში, ჰაილე გებრსელასიე. გებრსელასიეს შარშანდელი სეზონი ტრავმების გამო გაუცდა. წლეულს იგი ბილიკს დაუბრუნდა და ფეხს 5000 მეტრზე სირბილით ავარჯიშებს. რომში იგი მე-3 იყო და თავადვე თქვა, ძველი ჰაილეს აჩრდილიღა ვარო. ეს დისტანცია კი კენიელმა ჩებილ აბრაჰამმა მოიგო.

სუსტი სქესის წარმომადგენელთაგან ერთობ იჩაუქა ბაჰამელმა ჩანდრა სტურეპმა, რომელმაც 100 მეტრის ვარსკვლავებს კელი უაიტს და ტორი ედვარდს ჩაუქროლა და ფინიშთან პირველი მიიჭრა. მისი დრო 10,84 წამია. ტორი ედვარდსმა 100-ზე დაკარგული 200 მეტრზე აინაზღაურა. 22,28 წამი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას დები ფერგიუსონისთვის და კელი უაიტისთვის პოდიუმის ზემოდან გადმოეხედა.

**ბაჩო სვანიძე**


REUTERS ფოტო

უძლეველი ჰაშამ ელ გურუჯი



# მწვრთნელმა ვარჯიშზე დაიგვიანა

ამ კვირადღეს ბარსელონაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო საწყლოსნო სახეობებში. გუშინწინ და გუშინ ბარსელონის აუზებში არ გამოჩენილან მოცურავეები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ინტრიგა-ინტერესს ქმნიან. პირველი დღეები წყალში მხტომელების და წყალბურთელების იყო იყო და აქ ყველაზე დიდი ხმაური რუსი მხტომელის, 3-მეტრიანი ტრამპლინის სპეციალისტის დმიტრი საუტინის მორიგმა გამარჯვებამ ააგორა. საუტინი ბარსელონაში მეორედ არაა, მაგრამ იქ დიდრონ ტურნირებზე კი მეორედ მონაწილეობს. 11 წლის წინ მან ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა ბარსელონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ საუტინმა ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებზე და მსოფლიოს თასებზე კიდევ 19 მედალი დაიკიდა. აქედან 11 ოქროსი იყო.

კი ვთქვით, მოცურავეები არ ჩანანო, მაგრამ მათ ბარსელონას აუზებში ჩაუხტომლადაც აადგაფუნეს მსოფლიოს ჩემპიონატის საინფორმაციო აუზი. კერძოდ: ავსტრალიის საწყლოსნო სახეობების ფედერაციის მამებმა ნაკრებიდან მოკვეთეს ვაჟ მოცურავეთა მთავარი მწვრთნელი ბრაიან სატონი, თურმე ნუ იტყვით და, დისციპლინის დარღვევის გამო. მწვრთნელი მუდამ სამაგალითო უნდა იყოსო, გვეუბნება სპორტის დაუწერელი კანონი, მაგრამ აი მაგალითი იმისა, რომ სამაგალითონიც შეიძლება იყვნენ უმაგალითონი. სატონს თურმე ორი დღით დაუგვიანია წინასაჩემპიონატო შეკრებაზე და აგერ, ულაპარაკოდ მოხსნეს. იქვე გადაწყდა, რომ ავსტრალიელ ვაჟებს, რომლებიც თავიანთ საქმეში მსოფლიოში საუკეთესოებადაც ჩაითვლებიან, ბარსელონაში უმეთაურებს ავსტრალიელ გოგონათა ბიძა-თავკაცი სკოტ ვოლკერსი.


REUTERS ფოტო




REUTERS ფოტო

რუსი ალექსანდრ პოვეტკინი და კუბელი პედრო კარიონი ერთმანეთს გვემენ

# მსოფლიო უქართველოდ

## მოკრივეებმა გაჭირვების დარტყმა აიტანეს

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი კრივში მოყვარულებს შორის. ატიპიური პნევმონიის დამარცხების შემდეგ სამხრე-აღმოსავლეთ აზიის ამ ეგზოტიკურ ქვეყანაში, სადაც სამოყვარულოდ კრივობენ, მრავალი ქვეყნიდან ჩავიდნენ, საქართველოდან კი არა. ქართველებს მკვლელი გრიპის როდი ეშინიათ, უბრალოდ, ფული არ აქვთ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ გვითხრა, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ, ტაილანდში ძვირი მგზავრობიდან თავი შევიკავოთო.

„ჩვენი მთავარი მიზანი ოლიმპიური თამაშებია. ოლიმპიური ლიცენზიების აღებას გაისად ხორვატიაში, ევროპის ჩემპიონატზე ვგეგმავთ. პირველი სამი ადგილი ავტომატურად იღებს ათენის საგზურს. თუ ვერ შევძელით სამი-ოთხი მედლის აღება, სტამბოლისა და ბაქოს ტურნირებზე კიდევ შეიძლება საკმარისი ქულების მოპოვება" — გვაიმედებს თენგიზ მესხაძე.

მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველების გარეშე კი ჩატარდა, მაგრამ ტაილანდში მაინც ფრიალებდა ქართული დროშა, სამწუხაროდ, მხოლოდ მონაწილე და არა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის. საქართველოს სახელით ცხინვალელმა რობერტ ფილიევმა იკრივა. ფილიევი მანამდე საქართველოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და თავის წონაში მეორე ადგილზე გავიდა. ბანგკოკში მისგან გამარჯვებას არავინ ელოდა. საყურადღებო უფრო სხვა რამაა. თუ ცხინვალელმა ბიჭმა ნახა სპონსორი და სამოყვარულო კრივის ერთ-ერთ მთავარ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რატომ ვერ შეძლო ეს რომელიმე ქართველმა მოკრივემ?

რაც შეეხება თვით ჩემპიონატს, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ სამოყვარულო კრივში კუბური ჰეგემონია დასრულდა. „თავისუფლების კუნძულის" წარმომადგენელთა ანგარიშზე მხოლოდ სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალია. მათზე მეტი შეძლეს რუსებმა — სამი ოქრო და სამი ვერცხლი. ორი ჩემპიონი ჰყავთ ყაზახებს, თითო ოქრო გაახერხეს მასპინძლებმა, ფრანგებმა და აზერბაიჯანელებმა.

ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი ორთაბრძოლა 97 კგ წონით კატეგორიაში გაიმართა ყაზახ გალიფ ჯაფაროვსა და რუს გერმანელ ვიტალი ტაიბერტს შორის. ოთხრაუნდიან პაექრობაში 43-35 გამარჯვება ყაზახ მოკრივეს დარჩა.

ასევე აღსანიშნავია 91 კგ-ს ზევით, უპრესტიჟულეს წონით კატეგორიაში რუსი ალექსანდრე პოვეტკინის გამარჯვება ფინალში. კუბელი პედრო კარიონი მასზე მაღალიც იყო და მძიმეც, მაგრამ ამ კუბელს თეოფილო სტივენსონთან და ფელიქს სავონთან მხოლოდ მოქალა ქეობა და კანის ფერი თუ აქვს საერთო. კარიონი თავისი მძიმე მუჭების ხარჯზე თავიდან დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ტექნიკამ და სკოლამ მაინც თავისი გაიტანა. რუსი გაცილებით ლაღად და ჭკვიანურად კრივობდა და საბოლოოდ აკი 29:27 იმარჯვა.

**ზოთა ძოპალეიშვილი**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე,

წარწერები, აირჩიეთ და

დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,

ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

# შენ მშვილდი შენი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები

ნიუ იორკს სწვევიან ერაყელი მოისარნი, მათ შორის ესენიც — აფრა აბასი (მარცხნივ) და მოჰამედ ალი ფაიადი. ამ დღეებში სამყაროს ჭიპმა ჭერგარე მოისართა 42-ე მსოფლიოს ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს და შვიდი ერაყელი მსროლელიც მარაქაში გარეულა. უნდა ვიცოდეთ — ეს პირველი ერაყული გუნდია, ომის მერე ამერიკაში რომ ჩავიდა.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ტორონტოდან

# ინდი-მინდი

კანადელი მეკარტე პოლ ტრეისი ფოტოზე ინდი-ლიმილოსნებთან ერთად აღუბეჭდავთ. ეს ტორონტოული „მოლსონ ინდის" რბოლამდე, ნაკვალიფიკაციევს მოხდა. ნარბოლევს კი ეს გოგონები, იცოცხლეთ, გაილაღებდნენ და ტრეისისაც გაალაღებდნენ, რაკიღა მათმა ხვადმა კვალიფიკაციის მერე თავად რბოლაც მოიგო.

# ბარდის გაფურთხება

კემბრიჯშირულ უიჩემში მსოფლიოს ბარდისგამფურთხებელთა ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს ტურნირი იქ 1971 წლიდან იმართება და მასში რაგინდარა კუთხიდან ჩასული ხალხი გამოდის. ამ ჭაბუკის ვინაობა უცნობია და სააგენტოები არც იმას გვაუწყებენ, თუ რა მანძილზე გააფურთხა ბარდა.



REUTERS უიჩემიდან

# რევოლუციური კვანტი

აგი შაბათსაც გაუწყეთ — 11-დან 13 ივლისამდე მონღოლები მათი 1921 წლის რევოლუციას იგონებენ. ეს ულანბატორული ჭიდაობაც ამის გამო ხდება... ფოტოზე უსუჰბაიარს სუმიაბაზარი აუზიდია და ვინძლო, კარგა ბარაქიანად დაანცყვოს.



REUTERS ულან ბატორიდან



REUTERS ბარსელონიდან

# სინქრონულად ნახრილნი

ბარსელონა წყალჯომარდობაში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ამ ორ სინქრონულად წახრილ გოგოს რომ უყურებთ, ევენი ავსტრალიელები არიან და ათმეტრიანი კოშკიდან ზიარად ხტომაში მეორე ადგილზე გავიდნენ. პირველობა ჩინელ ზიარმხტომელებს ერგოთ, მესამე კი — რუსებს. ჰო, მართლა, აქეთას ლაუდი ტურკი ჰქვია, იქითას — ლინდა დაკიუ, ფონად კი ბარსელონური ლამაზხედები მოსჩანს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge